წელიწადი პირველი. № 10. ფასი 20 კაპ.

განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

1 ივნისი 1915 წ.

შინაარსი:

1. ოცნება, ლექსი,—ს. ტაიფუნისა.
2. ქვეყანა,—დ. თურდოსპირელისა.
3. საადგომო კაბა, მოთხრობა,—კირილე წუთისოფელელისა.
4. ბაბო, მოთხრობა, გ. ებრალიძისა
5. რედაქციისაგან.
6. ძველი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობისა.
7. მაგალითები, ნიკო თავდგირიძისა. ფელეტონი, ალესილისა.
8. კრიტიკა. აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი, ხომლელისა.
9. ახლო აღმოსავლეთი, გულკეთილისა.
10. მოგზაურობა რაჭა—ლეჩხუმში, ამბერისა.

ქუთაისი
სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თიოო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ხონში — გიგლა მებუკესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

განთიადი

№ 10. 1 ივნისი 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ოცნება.

ტალღათ შორის მობანავეს მოვკარ თვალი ღმერთს შვებისას,
მზის ჩასვლის დროს, ფერმკრთალ ზვირთსა უქროლებდა ტრფობის ღალ-
ღას.
ქვეყნის იმედს მომავლისას ცის ეტრატზე შვებათ სახდა,
უკვდავ სახეს ცხოვრებისას ღამის კოშკზე ღიმათ ცვლიდა...
მეც ავყევი ბედის ქროლას, წავყე ნავსა ოცნებისას,
გვრგვინავ ტალღას დავედარე, ზღვათა ქოთქოთს ზვირთები-
სას; —
გრძნობა ჩემი ლტოლვილების შორს მიმაფრენს, შორს დაფრი-
ნავს,
გულის ძგერა სატრფოს მკერდზე იშმუშნება,-აღარ ძინავს...
ცას ავეკარ, ცისა ღრუბლებს, იქ ვეძებდი ქვეყნის სახეს,
თუ ფიქრებმა სულის ლტოლვა ღრუბელთ შორის, ვით და-
სახეს,
ვინ წარმოშვა მიწის ცრემლი, ზღვათა გულში დალათ სმული,
სულის სწრაფვა სოფლიოსი, რათ დაეშვა დაქანცული?..

***

ჩემი ნავი მისრიალებს, ტალღებს აპობს, მიისწრაფვის,
ან მზეთ მხარეს ინახულებს, ან არა და...დაიღუპვის!
...მე თვით შევქენ ტალღათ გორა, მე თვით ვშობე ზრახვა
გულის,
ციურ ცრემლზე ავლენილი, უკვდავ მკერდზე აღზნებუ-
ლის...
— ვინახულებ ოცნების კოშკს, მიუწდომელ ალქაჯთ ციხეს,
ბრმა ცხოვრებას დაქანებულს მივცემ კვლავათ გრძნეულ
სახეს,
დავიბრუნებ ლტოლვის გემსა, შევაცურებ ზვირთ გო-
რაკზე,
ელვის მანდილს დაუფხრეწავ, — დავაქანებ მსწრაფლ
მიწაზე...

ს. ტაიფუნი.

ქ. კიევი.

ქვეყანა.

რა გასაჩენი იყო ეს ცრუ, ყალბი ქვეყანა?!.

აი, ეს ზღვა, დამატყვევებელი სიკეკლუცით რო გვეჩვენება შორიდან, ზვირთების მხიბლავი სიმფონიით რომ ადენება სმენას — გაშინჯეთ ახლოდან, რა მღვრიეა... ლექიანია... რა საზარლათ აროყინებს და აქოჩქოჩებს ტრიალისგან გამოჩერჩეტებულ ციბრუტისებურ ტალღებს...

აი, ეს ცა ვარსკვლავთა კამკამით და მთიების ციაგით მიგვიწოდებს შორს... შორს ზღაპრულ მხრისკენ... შვენიერების სამეუფოსკენ. მარა, აბა, ადით, მაღლა... მოექეცით მთის მწვერვალებს — რა ჟინჟღლიანი... ცივი... არრის მეტყველი სივრცეა ირგვლივ... რა შემაზრზენელი სიცალიერე იზმორება ყველა კუთხეში... ყველა კუნჭულში.

აი, ეს წალკოტი — ერთის შეხვედით, ფანტასტიური რამ სანახავი... ფერიების ყაშაღი, აპოლლოს ნადიკვარი — აბა, მიუახლოვდით, რა ჭყანტობიანია... ჭაობიანი.. სიკვდილის სუნთქვასავით, როგორ ადის აშმორებული ორთქლი... როგორ იგლარძებიან შიგ გველაძუები....

შეხედეთ, აიმ ქალ-ბატონს — „წმიდა გულ-უბრყვილობის'' გახორციელებულ ქალწულათ რო მისვენებია მკერდზე „ბედნიერ" ჭაბუკს და ეფიცება პირველ სიყვარულს, -სკრუობს.. თვალთ-მაქცობს... ამას წინათ სხვას ,,აბედნიერებდა'', სხვის საწოლში ბძანდებოდა თლად გაშიშვლებული...

უყურეთ აიმ ყმაწვილს... სიტყვით მეგობრობის უბადლო მოციქულია... შოთას ტარიელსაც-კი მეტოქობას უწევს, ამ წმიდა გრძნობაში. მარა საქმით, ღმერთმა დაგიფაროთ... ნიადაგ იმას ჩალიშობს, თუ, როგორ გამოუთხაროს ძირი ძმათ ნაფიცს, როგორ დაიჩრდილოს შუბლი პირველობის დაფნის ფოთლებით...

ყველგან... ყველგან სიყალბეა... სიბილწე... ანგარება... ფლიდობა .. მატრაბაზობა...

სულელო მგოსნებო, რა დაინახეთ გასაგის ამოსაგდებ ამ ქვეყანაში სადიდებელი?!!..

დ. თურდოსპირელი.

საალდგომო კაბა.*)

(მოთხრობა).

დაბა № ის ვიწრო და გძელი ბულვარი, რაც ცისარტყელასავით აკრავს რკინის გზის ლიანდაგს და, რომლისთვისაც ღმერთს არ გაუჩენია და კაცს არ გაუკეთებია ღობე და ჭიშკრები, სადღესასწაულო ხალხით იყო გავსებული. ვის არ შეხვდებოდით აქა? შეხვდებოდით ჩოხა — ახალოხში გამოწკიპულ ყმაწვილებს, სირმებით დაშვენებული წუღებით მოამაყეს; დიდ ქუდიანებს, რომელთაც მთელი ცხვრის ტყავი ერთ ქუდათ ძლივს ყოფნებიათ, ულვაშებ აბზეკილ — აწკიპულ სერთუკიანები, ხავერდ-აბრეშუმებში მორთულ მოკაზმულ ქალიშვილებს, ყოველ-გვარ წოდების, წლოვანების ადამიანებს, რაც მდიდარ სურათს წარმოადგენდა, უფრო-კი ფეროვნების მხრით. ერთი სიტყვით, მთელი სიმდიდრე თვალ საჩინოთ გამოფენილიყო. — „აი, ბედნიერი კუთხე, სადაც მეუფეს თვისი უხვი კალთა დაუბღერტია და სიმდიდრით აუვსია დიდი და პატარა; აი, უზრუნველი ხალხი, რომელსაც საფიქრებლათ მხოლოთ ის გახდომია: რა სვას, რა ჭამოს და, რა ჩაიცვასო", — იტყოდით პირველ შეხედვის თანვე და, რაღაც სიამოვნებასაც იგრძნობდით, საქმის ზედა პირის გაშინჯვით. და მართლაც, შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ოჯახში რამე აკლდეს იმ ხალხს, რომელიც ბულვარში ოქრო ვეცხლში და ძვირფას აბრეშუმებში იხჩობა?! მით უმეტეს იმ ხალხს, რომელიც უზვრუნველი სახით, მოცინარი თვალებით და უზომო კმაყოფილებით გამოიყურება?! ეს ხომ არ შეიძლება და, მაშასადამე, განვაგრძოთ. — საღამო ჟამი იყო. ხალხს თან და თან ემატებოდა. მოდიოდენ სოფლებიდან ისევ-ისე ძვირ-

(* იხ. განთიადი, № 9

ფას მორთულ მოკაზმულნი, თითქო ერთი-მეორეს ჯიბრში ჩადგომიანო:—აბა, ვინ უკეთ გამოწყობილი გამოვა და, ვინ უკეთ მოაწონებს საზოგადოებას თავსო... ამნაირათ, ამ ბულვარში უქმ ხალხს მოეყარა თავი, რომელიც ბულვარის ოღროჩოღრო ადგილების ტკეპნის მეტს არას აკეთებდა. სამაგიეროთ, მეორე ბულვარში, რომელიც დაბის შუა გულ ადგილიდან საცოდავათ გამოიყურება და ღარიბი კაცის მოუვლელ ეზოს უფრო წააგავს, ვიდრე ბულვარს, უფრო ვა ჭრული სუნი სდიოდა: აქა-იქ წყლების ვაჭრობა გაემართათ, ლატარიები გაეწყოთ, გასაყიდი ხილი შემოეტანათ. მარა უფრო ის იზიდავდა ყურათღებას, რომ ეს ბულვარი თითქო ტრახტირიაო, ნარდის, კარტის და ჭადრაკის სათამაშოთ გაეხადათ... აქაც აუარებელი ხალხი მომწყვდეულიყო... ეკლესიის მოედანზე საქეიფო კარვები დაედგათ და ერთგან საჭიდაო შენობა გოლიათივით გამოიყურებოდა, რომლის კარებზე გაეკრათ ნახატებიანი განცხადებანი, რომ იქ იჭიდავებენ: ,,კავკასიის უძლეველი ფალავნები",იქნება სხვადასხვა წარმოდგენებიო და სხ. ამასაც ხალხი ბუზივით აწყდებოდა. ქუჩაში გავლაგამოვლა სამძიმო იყო, ხალხის ნამეტნაობისა გამო; თითქმის ყოველ სამიკიტნოში მთვრალი მოქეიფეთა ღრიალის და აურ-ზაურის ხმაურობა იდგა და ყოველ ფეხის გადადგმაზე შეგეფეთებოდათ თვალებ დაჭყეტილი, მობარბაცე მთვრალი ხანჯლიანი. არღნების არეული წკრიალ-კივილი აყრუებდა იქაურობას...აუწერელი სანახავების დასამთავრებლათ ,,ფოტოგრაფს'' გაედო მხარზე თვისი „აპარატი" და ქუჩა ქუჩა გაიძახოდა:- ,ჰა, აპა, ვის გინდა დახატვა?—აბაზათ, აბაზათოო. დაყენებდა ქუჩაზე ახირებულ დასახატავს და პორტრეთიც მზათ იყო!...

მოშორებით, სადღაც ერთს კუთხეში, სადაც ცოტა ოდენი მყუდროებაც სუფევდა, სამი ევროპულათ ჩაცმული კაცი იდგა:მოხუცებული, შავ წვერა და უწვერული. ესენი გაქცეოდენ თავის მომაბეზრებელ ხმაურობას და გულუბრყვილო მსჯელობა გაემართათ... სამივეს ინტელიგენტური შეხედულობა ქონდა და ეტყობოდა, რომ იქაურობას დაწვრილებით გაცნობილი იყვენ.

— სწორეთ ახირებული კია ეს ჩვენი ხალხი, ამბობდა მოხუცებული.— თუ ყური მოკრა სადმე დღეობაო, ისესხებს, ივალებს, ყოლიფერს დააგირავებს და არ წავიდეს, არ იზამს. ვინ იცის, რამდენს სარჩო სიმიდი ექნება გაყიდული აქ მოსვლისთვის!... ეს სწორეთ ნამეტანია. აბა, რას ნიშნავს ეს? მთელი მილეთის ხალხს თავი აქ მოუყრია, თითქო აქ რაღაც ამბავიაო.

—„ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო", ნათქვამია; კიდევ იტყვიან:—„მეგრელს მისი მუხლი მოაჯერებსო," მეგრელს ჩვეულება აქვს, შეკრებილებაზე უსათუოდ გამოვიდეს... გული ვერ უზამს, მუხლები არ მოიღალოს,— თქვა უწვერულმა.

— რაც გინდა დაარქვი, როგორც გინდა იფიქრე, მაინც დიდი დანაშაურობაა ცხოვრების წინაშე ეს ახირებული და უთავბოლო შექცევა. აბა, რა ქვია ამას? რა უნდა იზიდავდეს აქ ხალხს? რო გასაყიდი, ან საყიდელი რამე ქონდეთ, კიდევ ჰო, საჭიროა კაცმა ერთი ნაწარმოები გაყიდოს, მეორე იყიდოს; თავის ნამოქმედარი სხვას გააცნოს, სხვისი თითონ გაიცნოს; ასეთს პირობებში თავი უნდა მოიყაროს ხალხმა და, რამდენათ მეტი იქნება, ამ მიზნით, ხალხი ჩამოსული, იმდენათ უკეთესია... კერძო მაყურებლებიც რაღაცას ნახავენ; ასე, რომ ამისანა მგზავრობაზე კაცმა ცოტა რამ დახარჯოს, წაგებათ მაინც არ ჩაითვლება. მარა ასეთი რამეები აქ ჯერ არ გაჭაჭანებულა. სოფლიდან ჩამოსულ ხალხს, ერთს ვერ დაუნახავ ხელში რამე ნაწარმოებს, გამოწყობილ—გამოკოხტავებულია ყველა... ნუ თუ იმიტომ ჩამოსულან იმ შავი მთიდან, რომ აქ არღანზე იქეიფონ, რაც გააჩნიათ დახარჯონ და ჯიბე-ცალიერნი უკანვე დაბრუნდენ?— თქვა ისევ მოხუცმა,

— დღეს რა არის? ზეგ უნდა ნახოთ— პეტრე პავლობას, მარულა რომ იქნება, ასე იტყვით, დღემდი აქ ხალხი არ ყოფილაო... ისე მოაწვება ყოველ კუთხიდან ხალხი, რომ

ძმამ ძმას ნაბიჯით გაასწროს და, მერე, თვალიც ვერ მოავლოს.— თქვა შავწვერიანმა.

— მით უარესი.—განაგძო მოხუცმა, ან ეს რაღაა, რო თელი კვირით გადაუჭიმავთ დღეობა! ვის ეპატივება ესა? ეს იმას წაგავს, რო ჰაერში ქაღალდის მანქანა ააფრინო და უბირ ხალხს დაუძახო: „აი, შეხედეცაში, რა ამბავიაო'' და, როცა ის სანახაობას დააცქერდება, შენ მიეპარო და ჯიბე გაუცალიერო... დღეობები, მე მკითხე შენ, სამეგრელოში, თუ აკლიათ!... მარა ეს დღეობას რომ არ გავს. როგორ შეიძლება ყმაწვილი კაცი გადაურჩეს აქაურ უღმრთო ქეიფს?

— აქაური ხარჯი ხომ სათქმელია და სათქმელი, აწი თქვენ იკითხეთ, რა ზარალს ხედავს სოფელი ახლანდელი მოცდენით? სოფლათ გაცხარებული მუშაობაა, უკანასკნელი მეთოხე კაცი დღეში მანათ ნახევრათ ფასობს და ამდენმა ხალხმა აქ უნდა იქეიფოს მთელი კვირის განმავლობაში!... სულ რო მცირე იანგარიშო, ასი ათასი მანათის ზარალს მაინც განიცდის ხალხი ყოველ წლობით ამ დღეობით, თქვა შავწვერიანმა.

— ახლა და, რა მოხერხებული დრო აურჩევიათ. სოფელში, თუ ოდესმე ფულია, სწორეთ ახლაა; აბრეშუმის მოწევა გათავებულია, პარკი გაყიდული, ფულები ნაღდათ უძევთ ჯიბეში და ყველას აქ მოეჩქარება... ოხ, რა საზარლათ ტყავდება ეს საწყალობელი ხალხი! - დაუმატა მოხუცმა.

— თქვენ ქონებრივი ზარალის ამბავში ხართ და ახლა ერთი ზნეობრივიც იკითხეთ!... ამ დილით, გათენებისას, გამოვიარე ბულვარისკენ და, ჭოი გაცვიფრებავ! გაუხდელი ქალიშვილები და ყმაწვილკაცები ჭერეხივით ეყარა გაშლილ ცის ქვეშ და ლაზათიანი ხრვინვა ამოეშვათ. სწორეთ შევწუხთი და ვიფიქრე: ეს მორცხვი ხალხი, რომელსაც მნიშვნელოვანი თვალში ჩახედვაც კი აწითლებდა, გაურცხვებულა მეთქი, გულახთილათ თქვა უწვერულმა.

— ყველაფერი კაი, მარა, ერთი ეს მითხარით: აქაურ მცხოვრებლებს, რა ხეირს აძლევს ეს დღეობა?—შეეკითხა მოხუცი უწვერულს.

— აბა, რა ხეირს უნდა აძლევდეს? ისეთი ღარიბი არავინ იქნება, რომ ათი-თუთხმეტი მანათი მაინც არ დაეხარჯოს და ზოგს ოცი თუმანიც კი დაუჯდება. ეს დღეობა ერთად ერთი მიკიტნებისთვის არის სახეირო: რასაც თელი წლობით იგებენ, მეორე იმდენს მარტო ამ კვირაში შოულობენ.

— ჰო და საქმეც ის არის, რომ ასეთი ანგარიშით კაცი შორს ვერ წავა. ჩვენი ხალხი ასეთ უსაქმობაზეა დაჩვეული და, სამწუხაროც ის არის, რო ხალხის ასეთ მოძრაობას ხელს უწყობენ ის პირები, რომელნიც მოწინაალმდეგენი უნდა იყონ... ახლა ერთი მიმართე ამ ხალხს და თხოვე თითო ოროლა გროში რამე კეთილ საქმისთვის, ყრთი რა გითხრას? თუ გალანძღვას გადაურჩი, ისე დაიღრიჯება, რო მგონი, იქით მისცე რამე.., ეჰ, როდის იქნება, ჩვენ რო ჭკუას ვისწავლით? —თქვა ნაღვლიანათ მოხუცმა და ჩაქნია ხელი.— აქ დგომას კიდე შინ წასვლა ჯობია.— დაუმატა მან და გამოემშვიდობა მოსაუბრეებს.

დიახ, ეს იყო დღეობა, უკეთ რო ვთქვათ, დღეობის წინასწარი, მთავარი დღეობა პეტრე-პავლობას უნდა მომხდარიყო თვისი მარულათი, უზომო ლხინით და ქეიფით. მარულას შესახებ, რა თქმა უნდა, ყველა სოფლის სასამართლოები წინ და წინ იყო დაუწყებებული, ხალხის გამოსაცხადებლათ.

პეტრე- პავლობის წინ დღით გზებზე ტევა არ იყო. მოდიოდენ სამეგრელოს ყველა კუთხიდან, მოდიოდენ სამურზაყანო — აფხაზეთიდან და გურია იმერეთიდანაც-კი. მოდიოდენ ვისაც, როგორ შეეძლო: მატარებლით, ცხენით, ეტლით, ურმით და უფრო ხშირათ-კი ფეხათ. შეხვდებოდით ისეთს ქალებს და ქალიშვილებს, რომელიც 20-25 ვერსტიდან ქვეითად მიეჩქარებოდენ დ. № ში. ერთობ საკვირველ სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა... ამ სურათიდან ნაკვთად გამოიხედებოდა ჩვენი ხალხის ისეთი მისწრაფება, რაც სანუგეშოს არას წარმოადგენს, მეოცე საუკუნეში, რომლის აღწერით, არ გვსურს, სამეგრელოს

ხალხის გრძნობას ვაწყენიოთ.

ტუტუ კაკაჩიას სახლშიაც დიდი მზადება იყო. მართა და ცირუ მზათ იყვენ წასასვლელათ და მეზობელ გოგო-ბიჭებთან მოლაპარაკებაც ქონდათ წინ ღამით ადრე გადასვლის მესახებ, რო დილა ადრიან დ. № ში ყოფილიყვენ. იმ ღამეს ძილი არავის ახსოვდა, იმ შიშის გამო, რო შესაძლებელი იყო, შემოთენებოდათ... სამხიარულო ფაცა-ფუცში და მორთვა-მოკაზმაში, დაკრა გამგზავრების დრომაც. სოფელი ანძრეულიყო: ისმოდა ხმაურობა და ყვირილ-ძახილი...

— არ ხედავთ, ხურჭუკონი*) შვადღეზე მოსულა, გათენდა, გამოდითო,— დაიძახა ვიღაცამ ტუტუს კარზედაც.

- აგერ, ბატონო, შენი ჭირიმე—აგერ, მიაძახა მართამაც და უცბათ გააღო კარი, მას თან გაყვა ცირუ და ორივენი შეუერთდენ მგზავრებს.

ტუტუ ამ დროს უძრავათ იწვა ლოგინში. მას არც არავინ ეკითხებოდა რაზეს და არც არაფერს თვითონ კითხულობდა. მას ჯავრი ყელამდი მოდიოდა, რო ცოლ-შვილი არ უგონებდა, მარა რა ექნა? ამ შემთხვევაშიაც სცადა, რო გადაღობებოდა ცოლის სურვილს, მარა სახტათ დარჩა... სამი დღით წინ, როცა შეატყო ცოლ-შვილს ფაცა-ფუცი, რომლის გამომწვევ მიზეზს ის წინ და წინვე მიმხვდარიყო, მორიდებით შეეკითხა ცოლს:

— რაღაცა მზადებაში ქე ხართ და რაღაცას ქე მიმალავთ; რა იქნება, ვითამ მეც გამაგებიოთ, რა ამბავია.

— ნაქურდალი არაფელი გვაქ, რო დაგიმალოთო. მოკლეთ და მწარეთ უპასუხა ცოლმა და გაემართა კუთხისკენ, გააღო თვისი ძველი კიდობანი და რაღაც-რაღაცეებს დაუწყო შლა და გადმოლაგება.

— ნაქურდალი გაქ-მეთქი კი არ მითქვამს, ქალო, მე გეუნები, მიდიხართ საღმე, თუ მოელით ვინმეს-მეთქი.

— კი, მარა, რათ გნებავს ეს, რო შენ გეიგო? მოტრიალდა და კითხა ცოლმა.

— რავა, მე არაფელი არ უნდა მეკითხებოდეს ოჯახში?

— რაც შენი საქმე არ არის, არ უნდა გეკითხებოდეს წოლეთ; გეიგე? კიდო გეტყვი, თუ გინდა.

— კი, მარა, აგერ, დაბერდი, ქალო, ჩემ ხელში და კიდო არ გინდა ხასიათი გამეიცვალო? თუ რამე გითხარი, მაშინვე ეენთები და საჩხუბრათ რო გამომიწვევ, რეიზა იცი მაგი, ქალო?

-- შენს ხელში შენი ყველა დაბერდა; ბებერი ხარ და ხრინწიანიც... რას ქვია: „ჩემს ხელში დაბერდიო“. ი შენი მიწა დასაცვენი ენა მეიმოკლე შენ, თვარა დედის სულს ვიფიცავ, არ ვიცი, რას გიზამ!

— ქალო, რას ხედავ აქ წასაჩხუბებელს? მე რა გკითხე და შენ სად გამიყვანე? ამდონი რო არ მეგეყოლა, გეთქვა, სად მიდიოდი და გათავდებოდა.

— არა, არ გეტყვი, რო მოკვტე, მაინც არ გეტყვი... მოკვტი —მოკვტი, ჯავრით მოკვტი; არ გეტყვი და, რა გინდა?

— თუ არ მეტყვი, საკუთრათ გქონდეს; შენი მოფიქრებული, თუ რამე ხეირიანი გამევიდა, ჩემი ცოდვა გქონდეს, თუ ვინმეს დაანებო... ან რეიზა მეტყვი?... ქე იცი, ახლა ხარები არ მყავს, რო გამაყიდიო და იმიზაა, გალახვას რო მიპიროზ...

— რაიო — რაიო?... შეხედე მაგ ყრალს, რა ქონია გულში? შე გულუწმიდურო, აგი, თუ ქონდა გულში, რეიზა აქამდი არ მითხარი... დეიქცა იმის ოჯახი, შენ რო საცოლოს სახელი დაგარქვა! შე გულ-კვდრის შვილო, მე გაგაყიდიე კი არა, დაგაგირავებიე და შენ, თურმე, ისე დაგდგომია თვალები, რო მიგიყიდია და გინდა მე დამაბრალო შენი უგნურობა?!

— აბა ჰა!.. რამე პატიოსანი სიტყვა არ წაგცთეს, თვარა ღმერთი გიწყენს; სულ ილანძღე -სულ, აბა, რაში გამოგაჩდება კაი ქალობა!... ეს თუ გინდა იყვეს; მე დავკარგე, თუ შენ, წასული ამბავია, მარა არც ის გახსოვს, რა შემპირდი?— კაი ოცდა ხუთიანი

*) ვარსკვლავთ „კრებული“.

რო ეიღე პარკის ფული, რეიზა არ იძლევი, რომ ერთი მოზვერი მაინც ვიყიდო?

— ის დღე არ გოუთენდა შენს თვალებს, შე მართლა უგუნურო!... ძოაბმა ,ალბა ხეზე დატოვა და იმის მონაგები ფულით ახლა ხარი გინდა იყიდო? მეტი სინდისი მაინც არ გაქვს! „რო უყავიო“? რო უყავი და ქიციას ,ალბა და რუბაშქა უყიდე ძღაბს; მე ვიყიდე კიდო ჩემთვის ,ალბა და ფეხსაცმელი ჩემი მონაგები ფულით, ეს კიდო შენი სასაყვედურო მქონდა? ერთი თუმანი რო მომრჩა, თუ ღმერთმა გამითენა, პეტრე-პავლობისთვინ მინდა, ,ალბა, გასათხოვი ქალიშვილს გულს დავწყვეტდი?... ეს ფული რო მემეცა, იმიზა იყო იმყრალებოდი, მარა ვერ მოგართვი.

— ჰოო, პეტრობისთვის ეწყობით?

— ვეწყობით—ვეწყობით, ახლა, რა გინდა?

— ის მინდა, რო ნუ მიდიხართ. რაღაც ,ალბ სიზმრებს ვერ ვხედავ: ყოველთვინ ორმოებს ვთხრი, რაცხა ჯანაბაა და სისხლით არ მოსვრილი; წუხელი, ვითომ დიდი უშველებელი გველი შემოსულიყო სახში და ცირუს შეჭმას უპირობდა..

— შენს თავზე, ყოლიფერი შენს თავზე, დაჩხავლა ,ალბ ქმარს და სიტყვის გაგრძელება არ დააცალა, — შენი უწმიდური სული წინდაწინ იგრძნობს ყოლიფერს, შენი სამიწე ენამ ყოლიფერი უნდა იყივლოს, შე სულკატიანო. რამდონი ამხთენია და კიდო არ ამიხთეს ი შენი მიწა დასაცვენი ენა, თვარა გამოგიბნელებ მაგ მოჟამულ გამობლეცილ თვალებს, შე უბედურო!...სიკტილი შენი, გუშინ ვიყავი მარჩიელთან და ლობიოს კაკლები სულ ხტუნავდა სკამზე... ყოლიფერი ,ალბ მითხრა-ყოლიფერი... ახლა შენ გინდა ი ერთი თუმანი რო გამომტყუო, მარა ის დღე არ გოუთენდა ი შენი ოხერი თავს!...

— არ მინდა, ბატონო, არაფელი არ მინდა შენი, ოღონ სიავე არ მეიტანო ოჯახში და მოცემას არ გეხვეწები. ჩემი...

— კიდო სიავეო!... არ მითხრა, არაფელი მითხრა, არ გამაგონო მეთქი, თვარა ძალლი შეჭამს ჩემს ხორცს, თუ ფარსაკი რამე არ ვქენი!... გააჩერე-მეთქი ი შენი გასახმობი ენა, შე მავნე სულო!... შემჭამა ამ ოხერმა ,ალბ ,ალბ —შემჭამა, მეტი არა ვარ წორეთ... ჩემ მტერს ჩახედა ამან გლახა თვალით და გლახა სულით! შეჭამს, დედა ნუ წამიწყდება—შეჭამს!... ამის დასამსლები თვალითაა მე რომ ასე გავხმი, ფერი მაკლია და ხორცი! რეიზა არ მოკდა, რეიზა არ ჩაძაღლდა ე წაწყმედილის დატოვებული!...— ანჩხლობდა ქალი და, ბოლოს, მუშტიც მოუღირა ქმარს.

— ,ალბ ბატონო, რავარც გინდა, ისე ქენი,— თქვა გულ დაწყვეტილათ ტუტუმ და კიდეც ჩაიგდო ენა. მარა ქალი არ ცხრებოდა და არც დამცხრალა, სანამ ძალზე არ მოიღალა და ლანძღვა-გინებითაც გული არ შეიჯერა.

ტუტუ მართლაც არ ხუმრობდა. ამას, თუ იმას აწერდა თავს ძილის დამფრთხობ სიზმრებს და უფრო იმას, რო შესაძლებელი იყო დღეობაზე სიავე-რამ შეხვედროდა მის ცოლ-შვილს, რაისთვისაც გაფრთხილა ისინი. მარა, ამითაც ვერას გახთა, ჯინი თავის ისედაც დაბეჩავებულ გულზე იყარა და მტანჯველ სევდებს დაემორჩილა...

V

დიდი ყურათღება მიიზიდა ცირუმ დღეობაზე. მისი მადლიანი შეხედულობა და ერი-ერთობ ატყვევებდა სოფლის ,ალ გაზდებს. ,ალ ისე მოუხთა საზოგადოებაში გარევა, რო მართლაც შესაძლებელი იყო მის შესახებ, სილამაზის მხრით, ბევრი კარგი რამ თქმულიყო... მართალია, ჩაცმულობა, მიხვრა მოხვრა და გაუბედავი ლაპარაკი სოფლის გოგოზე მაღლა არ აყენებდა მას. მარა სილამაზით და მოყვანილობით, თუ არ გადააჭარბებდა, გვერდში ამოუდგებოდა მაინც დასამახსოვრებელი სილამაზის მქონე ქალიშვილებს... ცირუს დანახვამ ერთობ ააღელვა ერთი ჯგუფი მოქეიფე ყმაწვილებისა:

— შეხედე—შეხედე, ამისთანა არვინ ჩამოსულა ჯერ აქანეი... ნეტა, საიდან მოფრენილა, ე უმანკო გვრიტიო, —ამბობდა ერთი მოქეიფეთაგანი.

— ბიჭოს! აი, ამის დედამ უნდა დეი-

ტრაბახოს, რო ქალიშვილი მყავსო; ჯერ არავინ გაჭაჭანებულა ამის ბადალი! დაადასტურა მეორემ.

— ვაჰ— შენმა მზემ! ე ლოყა წითელი ქალიშვილი ვის ჩამოყოლია აქა?... რავა შორიდან უთვალთვალებთ, ყმაწვილებო და ზედ პიჯვარს ისახავთ?... ჰა, აგიკაწკაწდათ კბილები?!— მანჭვით და გრეხვით თქვა ერთმა ზარხოშათ მყოფმა ბიჭმა და შეუერდა ცირუს შემფასებელი ყმაწვილების გუნდს.

— ერთი ეს.... და, მერე, სულ ერთია. „ცინდრი“ და „კარტოლა“, ციხე და ბორკილი!... ოხ, რა ლამაზია!... რის ახალ გაზდა უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი გოგონა ნახოს და ხელში არ იგდოს!— მსუნაგური მადის აღვძრით დაუმატა მეოთხემ.

— მართლა ყმაწვილები არ ვიქნებით, ახალგაზდობის ქუდი არ გვეხურება, თუ ამას რამე არ მოუხერხეთ!— ვაშკაცური კილოთ უთხრა ერთმა ორს ამხანაგს, რომელნიც გაშორდენ ჯგუფს და ცალკე გააწყვეს თათბირი,

— სხვას არ ვენდობი და თქვენთან? რა საქმე იქნება ისეთი, რომ არ გავბედო?... მაინც არ გვაქ კარგათ საქმე: აქ არავინ ვართ ისეთი, რომელსაც ოთხი-ხუთი საქმე არ გვქონდეს ბარემ, ესეც ზედ დავუმატოთ და, რაც მოგვივა, მოგვივიდეს! ეს დასამახსოვრებელი იქნება, საუკუნოთ დაუვიწყარი...

— მოდი. — თქვა მეორემ.

— მოდი. — თქვა მესამემაც.

— აი, თვქვენი ღმერთის ჭირიმე, თქვენი! სისხლი გიდგათ ტანში — სისხლი! თქვენისანა ამხანაგებთან ხაზინასაც ევიკლებ, თვარა ერთი უბრალო გოგოს ხელში გდება, რა დიდი საქმეა! — თქვა ისევ მეთაურმა, აღმატებული ვაშკაცობის მეტყველებით, თითქო სურსა: ამხანაგებსაც ჩაბეროს ვაშკაცური სულიო.

— ეგ ყოლიფერი კაი, რაც იქნება და იქნეს, მარა, რავა?... რავა მოვახერხოთ?— თქვა მესამემ და თვისი მახვილივით თვალები მიაჩერა პირველს.

— ეგ არაფელია, თქვენ ოღონ ჩემთან იყავით და ყველაფერს მე გავაწყობ. მეტი, რის ნიჭი მოუცია ჩემთვის ღმერთს?!— თქვა მხიარულათ პირველმა, რომელსაც კოწიას ეძახდენ.

— სიკვდილ-სიცოცხლით შენთან ვართ, თითქმის ერთ ხმათ შესძახეს ამხანაგებმა.

— ამის შემდეგ, კოწიამ გასდგა რავდენიმე ნაბიჯი და მკლავი მკლავში გაუყარა ერთს უბრალო სოფლის ბიჭს, რომელიც ერთხანს ცირუსთან დაიარებოდა და შეიპატიჟა სამიკიტნოში.

— ღვინო მოგვიტანე და „ზაკუსკა“ რამე ჩქარა— უბძანა კოწიამ მიკიტანს და მოუჯდა ერთს გასვრილ სასადილო სუფრას, რომელიც უფრო მეტათ გასვრილი მჩვარით ვითომც გაასუფთავა მიკიტანმა.

— მე მიცანი?— მიუბრუნდა კოწია სოფლის ბიჭს.

— კი, ბატონო, შენ ვინ არ გიცნობს? მორიდებით უპასუხა ბიჭმა.

— ერთ დროს შენც კარგათ გიცნობდი, მარა სახელი და გვარი დამავიწყდა შენი.

— მე ნესტორა მქვია, ბატონო, კოჩასქუა.

— დიახ—დიახ... ნესტორას გოუმარჯოს, ჩემს ნესტორას გოუმარჯოს!... დალიე, თუ გიყვარდე. — უზომოთ მიყვარს შენისანა დარ დიმანდი ყმაწვილები; აბა, რას ვარგა კაცი, არც მკვდარი იყვეს, არც ცოცხალი!...

— ღმერთმა შენი დღენგძელობა ინებოს, ბატონო, კარგათ გაგატარებიოს ღმერთმა წუთი სოფელი, ვაშკაცი ხარ და ვაშკაცობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა...

— გმადლობ, ჩემო ნესტორა. ახლა შენ გადღეგძელოს ღმერთმა, ჩემო ნესტორა, შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, გამეგონოს, რო სახელგათქმული ვაშკაცის სახელს ატარებდე. კაი და კეთილი ქნას ღმერთმა ჩვენი ძმობა და ამხანაგობა... ძმობას გეფიცები, რო დღეიდან შენი მტრის მტერი ვიქნები და მოყვრის მოყვარე... რაცხა ისე შე-

მიყვარდი, რო შენთვის თავი არ მეზოგება, იცოდე.

— სიკვდილამდი ჩემი თავი გამსახუროს, ბატონო, ღმერთმა... შენ იმისანა ვაშკაცი ხარ, რო თუ მიკადრებ და მიახლებ, შენი გულიზა სიკვდილს არ შოუშინდები, მე და ჩემმა ღმერთმა!...

— რას ქვია არ გიკადრებ? მეუმბები რაია? დღეიდან ძმა ხარ მეთქი ჩემი... ეს ღმერთმა ადღინძელოს ჩვენი ძმობა, ერთმანეთის სამსახური შეგვაძლებიოს ღმერთმა.. შენთვის დამილოცნია, ძმაო ნესტორა... ამასთან დამილოცნია კაი ლაფშა! როცა გინდა, მოდი და, თუ კაცი ვარ, თუ ულვაშები მასხია, რო გეკადრება იმისანა ცხენზე შეგაჯენ და გამოგიშობ.

— შენი ჭირის სანაცვალოთ მომკლას ღმერთმა; დამიჯერე, რო შენი ნესტორა თავს შეწირავს შენთვის,— მტკიცეთ უთხრა შეზარხოშებულმა ნესტორმა.

— გმადლობ, ჩემო ნესტორა, წორეთ იმედი მაქ შენი... ეგეც შენი ძმობის სადღეგძელო იყოს... ჩემს ძმას ნესტორას გოუმარჯოს! ასე დაგიცალოს ღმერთმა მტერი და მავნე.

— ჩვენს ძმობას გოუმარჯოს... შენც ასე დაგიპალოს უფალმა მტერი და კეთილები გიმრავლოს.

— კაი დეგემართოს, კაი ძმა და ამხანაგი მე დღეს ვიშოვე!... ჩემო ნესტორა, ის ვინ იყო, შენ რო გოგო დაგყობოდა?

— ის ჩემი მეზობელია, ბატონო, ტუტუ კაკაჩიას ქალიშვილი.

— კაი კია, ღვთის წინაშე.

— წორეთ კაია, საოცარი თავ დაცული ქალიშვილია.

— ოხ, ერთი იმისი ხელში მოგდება!...

— კი ღირს ფასათ, შენ ნუ მომიკვტები!...

— შენ თუ დამანდობ გულს, ჩემო ნესტორა!...— მანჭვით და პრანჭვით გამოთქვა დანარჩენი კოწიამ.

— მე, თუ რამეს შევიძლებ, თავს დავდებ შენთვის... დაც რომ იყვეს ჩემი... მარა შეგპირდე და ვერაფელი გავაწყო, მაშინ რა მიწა გევითხარო?! მეტისმეტი ფთხილი ქალიშვილია!

— დამერწმუნე, რო შენ, თუ გულს დამანდობ, ყოლიფერს შევიძლებთ... მაშინ მე მკითხე შენი ამბავი! შენი კოწია მოგიკვდეს, თუ ათ წილათ არ დაგიფასოს სამსახური!...

— ბატონი ბძანდები! შენთვის არაფელს დავშურავ!... ქვეყანაში გამოჩენილი თავადი ძმობას მიცხადებ და რამეში ვარს გეტყვი?!

— მერწმუნე — მერწმუნე, ჩემო ნესტორა, რომ — ე რა ძმა ვიშოვეო — გათქმევიებ!

— კი, შენ ნუ მომიკვდები, რაც გინდ მომივიდეს შენს ძმობას მაინც არვუღალატებ.. ვიზამ, ყოლიფერს ვიზამ, ოღონ მითხარი, რავა ვქნა!

— მაკოცე ერთი, ჩემო ნესტორა; კიდევ მაკოცე, კიდევ ერთი... ეს ნიშანია ჩვენი განუყრელი ძმობის. მეც მენდვე ყველაფერში... ახლა იცი, რავა ქნა? იმდონი ეცადე, რო დედა და შვილი ააცთინე ერთი — მეორეს, მერე ცირუ შეიპაიჯე სადილზე x სამიკიტნოში, რომელი ოთახიც მიკიტანმა გიჩვენოს, იმაში შეიყვანე, მერე უთხარი იქ მოგიცადოს, სანამ მის დედასაც მიუყვანდე; იმედი მიე: მართასაც ახლავე მევიყვან და ერთად ვისადილოთ-თქო. მიკიტანს მე დავარიგებ და საქმეც გაჩარხული იქნება.

— ეს კაი პლანია, ადვილათ მოსახერხებელიცაა, მარა, რო არ დაგყვეს? ის ცოტა მიუკარებელი კია.

— იმის ჯავრი ნუ გაქ, ერთს რო შეუტრიალებ ხანჯალს ცხვირთან, თვალებს მიუბნიდავ.

— კაი—კაი, მარა არ შემოგაკვდეს...

— ოჰ, ეს რავა იქნება! ამაზე მენდე, როგორც ძმას...

— ამის შემდეგ, ახალმა ძმობილებმა კიდევ რავდენიმე ჭიქა ღვინო დალიეს და სიამით გაშორდენ ერთი—მეორეს.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

ბაბო*).

(მოთხრობა).

X.

უბედური წელი დარჩა 191... წელი. ჯერ იყო და მთელი გაზაფხული განუწყვეტლივ იწვიმა და ამდენმა ავდრებმა სულ ერთიანა გაანადგურა ნათესი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. შიმშილი კარზე იყო მომდგარი, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა ისედაც დაბეჩავებულ გლეხ-კაცობას. ეს კიდევ არაფერი: ამ მოვლინებასთან ბრძოლა იმდენათ არ გაუძნელდება იმათ, რომ უარესი უბედურება არ დასტეხოდა თავზე.

ერთ შვენიერ დღეს, საზოგადოებაში მოულოდნელათ ხმა გავრცელდა, რო ბათუმში და სხვა ადგილებშიაც სამხედრო წესები შამოიღეს და ომისთვის ემზადებიანო.

ამ თავზარ დამცემმა ამბავმა ყველინი შეაშფოთა, ცხოვრება გამოიყვანა ჩვეულებრივ კალაპოტიდან და აბობოქრებულ ზღვას დაამსგავსა. ყველგან ომის ამბავი იყო, მასზე მსჯელობდენ, იმაზე ფიქრობდენ. ავსტრიის ჰერცჰერცოგს და მის მკვლელებს წყევლა-კრულვით იხსენებდენ, საზოგადოების გულის-წყრომა შეგნებულათ, თუ შეუგნებლათ მათზე იყო მიპყრობილი, და მათ თვლიდენ ყველაფრის მიზეზათ.

ხმები, როგორც მოსალოდნელი იყო, გამართლდა.

მეორე დღეს ტუჩებში გაკრულ განცხადებებს შეამჩნევდით, რომლითაც სათადარიგო ჯარის კაცებს იწვევდენ. ამას მოყვა მოკლე დიპლომატური მოლაპარაკება, რომელმაც მტრულათ განწყობილ სახელმწიფოთა შეთანხმება ვერ შესძლო და ომი ოფიციალურადაც გამოცხადდა...

ჰაერი თოფის წამლის სუნით გაიჟღენთა. რამდენიმე დღის უკან უდარდელათ მოფუსფუსე ხალხი შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო.

ქვეყანა გლოვის ზეწარში გაეხვია...

ვინ მამას მიტიროდა ბძოლის ველზე, ვინ—ქმარს, შვილს, ვინ-კი შამას.

ქალაქი სათადარიგო ჯარის კაცებით გაივსო.

რკინის გზებზე კერძო მატარებლების მიმოსვლაც შეწყდა. დღეში ათასობით გადაყავდათ ჯარის კაცები გერმანიის, თუ ავსტრიის საზღვრებისკენ. მატარებელი მატარებელს მისდევდა და დასასრული არ უჩნდა ამ მსვლელობას.

შუა დღე იქნებოდა. სადგური ჩვეულებისამებრ, ხალხით იყო ვაჭედილი. ისმოდა დაუსრულებელი ლაზღანდარობა და ჟივილ-ხივილი, მატარებელი უკვე ჩამომდგარი იყო. საქონლის ვაგონები ჯარის-კაცებით იყო გაჭედილი, რომელნიც უკანასკნელათ ემშვიდობებოდენ თავიანთ ნათესავ—მეგობრებს.

ერთ-ერთ უკანა ვაგონთან ჩვენს ნაცნობ გიგლასაც შეამჩნევდი, რომელიც ნაღვლიანი გამომეტყველებით ქაიხოსროს ელაპარაკებოდა. აქვე იდგენ და დაწაფებით მისჩერებოდენ გიგლას კესო და ცქრიალა ჰელო.

— ასეა, თუ ისეა, ჩემო ქაიხოსრო!..— ლაპარაკობდა გიგლა,—მე მივდივარ და დავბრუნდები, თუ არა, ღმერთმა იცის. გარეშე ამ შემთხვევისა, ჩემი ყოფნა—არ ყოფნა თქვენზეა დამოკიდებული. თუ ბაბო არ მეყოლება, რაღათ მინდა მაშინ სიცოცხლე?!. ამიტომ გთხოვ და გემუდარები, თუ ოდნავ ჩემი სიყვარული გაქვთ, ბაბოს მოუარეთ, როგორც საკუთარ თვალს. იგი ახლა განათლებული ქალია და...—გიგლას კიდო უნდოდა რაღაც ეთქვა, მარა მოწოლილმა ბოღმამ ნება არ მისცა სიტყვა დაეთავებია.

— როგორ გეკადრება, შვილო! გამოწყვეტილი კაცი ვიყო მთელ დუნიაზე, თუ შენ ბაბოში გამომერჩეოდე. თქვენი დაქორწინების იმედი მასულდგმულებს მე, თორე სხვა სასიხარულო რაღა მაქვს, ამ სიბერის დროს.

—მრწამს მე თქვენი. მარა, აი, რა მოგახსენოთ: ქალის გული, მით უმეტეს ახალგაზდა ქალის, ზღვა არის, რომელსაც ნიავიცკი ათამაშებს და აქეთ-იქით არხევს. თქვენ ჩემ-

*) იხ. „განთიადი“ № 9.

ზე მეტი გამოცდილი ბძანდებით და უფრო დაკვირვებულიც ცხოვრებაში, და ეს კარგათ უნდა მოგეხსენებოდეს. ბაბო ასაკში შესული ქალია, განათლებული, ცხოვრებაში ჩახედულიც... ამიტომ, სიფრთხილეს თავი არ ტკივიაო, იტყვიან. როგორც-კი გაათავებს იგი ეგზამენებს, მაშინვე ჩამოიყვანეთ თფილისიდან, გესმით, მაშინვე....

გიგლა ისე ლაპარაკობდა, თითქმის რა ღაც წინათ-გრძნობა უბედურებას უქადიდა. იგი ამ ბოლო ხანებში იტვიანობამ შეიპყრო, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მას. ნამეტურ მას შემდეგ, რაც მან ბაბოს ახალი მასწავლებელი გაიცნო. პირველ შეხვედრისთანვე „დონ-ჟუანის“ ჩაბეჭდილება მოახთინა მან გიგლაზე, და მას შემდეგ, ეს შეხედულება, თუ ძლიერდებოდა მასში, თორე არ მცირდებოდა.

არა-ერთხელ თხოვა გიგლამ ბაბოს, რო ბინა გამოეცვალა, მარა ბაბო ყოველთვის ისეთ საბუთებს მოუყობოდა ხოლმე, ისე მოაჯადოვებდა მას, რომ იგი იძულებული იყო თვისი გადაწყვეტილება უკანვე წაეღო. „აწი ცოტა ხანი დარჩენილა, მალე სწავლასაც დასრულებს და სახლში წავიყვანო“, გაიფიქრებდა გიგლა და გულს მოახლოვებულ ბედნიერებით იმშვიდებდა.

მარა... ბედმა მწარეთ დასცინა მას. ქვეყანა ომის ცეცხლში გაეხვია და, სხვათა შორის, მისი ბედნიერებაც შეიწირა სხვერპლათ. როგორც სათადარიგო ჯარის კაცი, იგი პირდაპირ ომის ასპარეზე იქნა გაგზავნილი.

—აბა, თქვენ იცით, როგორ ამისრულებთ თხოვნას, —მწარე ამოხვრით განუმეორა გიგლამ ქაიხოსროს და კესას, გრძნობით ჩაკოცნა ყველას ტუჩები და სწრაფათ ვაგონში შეხტა.

მესამე ზარი დაკრეს. მოისმა უფროსი კონდუკტორის სტვენა, რომელსაც ორთქმავალის გულ-შემზარავი კივილიც მოყვა. წამს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც აქ-იქ მწარე ქვითინი არღვევდა. მატარებელი დაიძრა... და მოსწყვიტა სამშობლო მიწა-წყალს მრავალი ძალ-ღონით სავსე ახალ-გაზდები: მათი ყვირილი და „ურა“ დიდხანს მოისმოდა. სანამ მატარებელი მოსახვევში არ მიიმალა.

XI

საღამო ჟამი იქნებოდა, რომ ეს მატარებელი სადგურ თფილისს მიუახლოვდა. გიგლა დონჯ შამოყრილი იჯდა გაუნძრევლათ ერთ ადგილს და თამბაქოს აბოლებდა. იგი ისე გატაცებული იყო ფიქრებით, რო სრულებით არ ესმოდა ახალ-გაზდა მეომრების დაუსრულებელი ოხუნჯობა და სიმღერა-თამაში, რაც მწუხარებას უფრო გამოხატავდა, ვიდრე მხიარულებას.

ესეც სამართალი?!.. მარტო ხელა კაცს მიმატოვებიეს მოხუცი მშობლები, ცოლი, თითის ოდენა ბაღნები, რომელნიც შოშიასავით შამომცქეროდენ ხელში, და სადღაც ჩემისანა გაჭირვებულ კაცს უნდა ვებრძოლო; ან ის მომკლავს, ან მე მოვკლავ მას და წვრილი ცოლ-შვილი-კი შიმშილით უნდა ამოგვიწყდეს. —ნაღვლიანათ წარმოთქვა ერთმა ჭალარა შერეულმა ჯარის-კაცმა, როცა ცოტათი სიმღერა მიწყნარდა.

—აბა, თავი უნდა გააჯეკნიო ვინცხა ჰერმონიას?!. შეუტია მას მეორემ, უფრო ახალ-გაზდამ, რომელიც სიმღერა თამაშში პირველი იყო.

შენ, რა გიშავს, ბიძია, სახლში არავინ გიტირის, ვიკითხო მე და ჩემისთანებმა, თვარა... მწარეთ შენიშნა მას პირველმა და მუშაობისგან დაკოჟრილი ხელებით მოკლე ტარიანი ჩიბუხი შინაური ხოროშათ დაჭრილი თამბაქოთი გატენა.

—ნეტავი, რა ხალხია ი ჰერმონიებია, თუ რაღაც ჯანდაბა?!..—გულუბრყვილოთ წარმოთქვა, დაბოლოს, ერთმა ქერა ყმაწვილმა.

—რა ხალხია და მხეცები.. თურმე, არავის არ ინდობენ: ვინც-კი ჩაუვარდება ხელში, იუდასავით აწვალებენ...

—ერთი შენც, რაღა!. მხეცები-კი არა, მეორეც არაა ქვეყანაზე იმისანა განათლებული ხალხი. რაც ხეირიანი რამ არის, ყველაფერი მათი გამოგონილია, თურმე. აგიო და

ჰაეროპლანები, მანქანები, გრამაფონები, უსინო ტელეგრამები და რომელი, რა გინდა, რო, გერმანელების გამოგონილი არ იყოს!...

უფ, უფ!. რა ჭკუიანი ხალხი ყოფილა, შენ გენაცვალე!..-მოისმა აქეთ-იქიდან გაცვიფრების ხმები.

თურმე, მაღალ-მაღალი და ასეთი ღონიერნი და მოხერხებულნი ყოფილან, რო შენი მტერისას...

— „აღდგომა და ხვალ,“ —ვნახავთ, რავალი ბიჭებიც არიან. რუსის ძალას არ იცნობენ ისინი; სულ „ვაი დედას“ ვაძახებთ!..

—რა დროს ამაზე ლაპარაკია?!.. მოესწრებით, ნუ გეშინიათ ყველაფერს.. ერთი ჩვენებურაო დავუაროთ, უმჯობესი იქნება, ჩვენმა მზემ. დარდი და წუხილი მერეც გვეყოფა... —მხიარულათ გადასძახა ამხანაგებს ერთმა ყმაწვილმა, თვალის დახამხამების უმალ წრეს შუაში მოექცა და გადაბმული „რაშო-რერა,“ დაიწყო. მას მოყვა დანარჩენები და... კვლავ გაიმართა ცეკვა-თამაში.

XII

ისინი ამ ყოფაში იყვენ, რო მატარებელმა სიარულს თან და თან უკლო და, ბოლოს, გაჩერდა. ეს თფილისის სადგური იყო.

ჯარის კაცები იმ წამსვე გადმოიშალენ ვაგონებიდან. აქ მატარებელი ოთხქმის ორ საათამდი ჩერდებოდა, და, ამიტომ, ვინ საითკენ გაეშურა და ვინ საითკენ, რომ უცნობი ქალაქი დაეარათ, ან კიდევ ნაცნობ-მეგობრები ენახათ და უკანასკნელათ გამომშვიდებოდა მათ.

გიგლა ყველაზე წინ ჩამოხტა ვაგონიდან და სადგური დაიარა. იგი შურდულივით შევარდებოდა, ხან ერთ დარბაზში, ხან მეორეში. ზოგს გვერდს გაკრავდა, ზოგს ხელს, ზოგს გულ-მკერდითაც დაეჯახებოდა. მარა იგი ყურათღებას არავის არ აქცევდა, ჩვეულებრივ „ვინოვატ—“ საც-კი არ ეტყოდა მათ, ისე იყო გაბოროტებული. მარა ამათ: —ვისაც ეძებდა, ის ვეღარ ნახა. გულ-შემოყრილი სადგურის დარბაზიდან გავიდა და მიმავალ ტრამვაის ვაგონს შეახტა.

ვაგონი გამალებით მიექანებოდა ვერის დაღმართისკენ და ელეკტრონის მავთულებს ზუზუნი გაქონდა. ქალაქს არა ჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობოდა. ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო და საქმიანი-დაღვრემილი გამომეტყველებით მიდი—მოდიოდა...

ბუნებაც გამსჭვალულიყო თითქმის საერთო უბედურებით, რომელიც ასე უეცრათ მოეფინა ქვეყნიერებას, და პირ მოქუშული სატირლათ ემზადებოდა. მიუხედავათ იმისა, რო ზაფხული იყო, ჩდილოეთის ცივი ქარი საზარლათ დასისინებდა და ძვალ-რბილში ატანდა ყოველივე სულდგმულს. მოსალოდნელი იყო დიდი წვიმა და ქარ-ბუქი.

ტრამვაის ვაგონმა, რომელშიაც გიგლა იჯდა, ვერის დაღმართი დაათავა და ოლგას ქ. და გოლოვინის პროსპექტის შესართავთან გაჩერდა. გიგლა მეორე ვაგონში გადაჯდა, რომელიც ოლგას ქუჩაზე გადიოდა.

საბებიო ინსტიტუტს აქით პირველ შესახვევთან გიგლა ჩამოხტა ვაგონიდან და ჩქარის ნაბიჯით ზევითკენ გაეშურა.

ორასი საჯენის დაცილებით ოლგას ქუჩიდან, გიგლა ორ-სართულიან სახლის დერეფანში შევიდა ქშენით, მეორე სართულში აირბინა და თრთოლვით ზარი ჩამოკრა.

მას წუთები საუკუნებათ ეჩვენებოდა და ბრაზით ივსებოდა, რო კარების გაღებას ასე აგვიანებდენ. ნერვებ აშლილივით ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, თვალებს გიჟივით აბრიალებდა ჯ ულვაშებს იგრეხდა. ცოტა ხანიც...და ოთახიდან ფეხის ხმა მოისმა. კლიტეში გასაღებმა დაიწკრიალა და ნახევრათ ღია კარებში ბაბოს თავი გამოჩდა.

—ვაიმე... მე!...—გულ-შემზარავათ დაიწივლა ბაბომ გიგლას დანახვაზე და უგრძნობლათ იქვე ჩაიკეცა..

ამ მოულოდნელობით გაცვიფრებული გიგლა შურდულივით შევარდა ოთახში, ბაბოს ხელი სტაცა და იქვე მდივანზე დასვა.

ხმაურობაზე ოთახში დიასახლისი შამოვიდა.

მას ივან პეტროვიჩიც შამოყ ა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ტუალეტით იყო ამ დროს გართული.

ბაბო რო გულწასული დაინახეს, წამსვე მოსაბრუნებელ წამლისკენ გაეშურენ.

ცალკე ივან პეტროვიჩმა შამოარბენინა პატარა შუშა სასუნებელი წამლით, ცალკე დიასახლისმა.

ამდენმა წამლებმა და აურ-ზაურმა ბაბო გამოაფხიზლა; მან ოდნავ თვალები გამოახილა და ირგვლივ მიმოიხედა.

—ოხ, დამწყელოს ღმერთმა!..—დასუსტებულათ წარმოთქვა მან და დივანზე წამოჯდა.

—არაფერია, არაფერი, ჩემო ბაბო!... გადამეტებულმა სიხარულმა იკის ეს..— დააიმედა იგი დიასახლისმა და თავის ოთახში გავიდა,

—„м—да“—ტუჩებ აპრუწვით ჩაილაპარაკა ივან პეტროვიჩმა და ისიც გავიდა.

—ბაბო, რა ამბავია ჩემ თავზე?. ავათ ხომ არა ხარ?!. ან იქნებ...—მოუთმენლათ შეეკითხა გიგლა ბაბოს, მარტო რო დარჩენ.

არაფერია... მე... ისე... გამეხარდა... დავიღალე... ეგზამენები მაქვს და...—ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ბუტბუტებდა ბაბო და ამღვრეულ თვალებს გიგლას არიდებდა. თითქმის შიშობდა, თვალებს არ გამოემჟღავნებია მისი გულის საიდუმლოება.

—მერე... ამდენი მაცადინობა შეიძლება, განა?!... თავი-კი არ უნდა მოიკლა!...

—არა უშავს... გამოვკეთდები—მალე... მალე გათავდება ყველაფერი...

ამ დროს განის კარებიდან სუსტი ბრახუნი მოისმა, რომელსაც ახალი მასწავლებლის ბოხი ხმა მოყვა.

— „Можно къ вамъ“?...

ბაბო წამსვე გაექანა და მთრთოლვარე ხელებით კარები გააღო.

ივან პეტროვიჩი წასასვლელათ მომზადებულიყო და ხელში ხელთათმანებს ათამაშებდა.

—ახლა, როგორ გძნობთ თავს?. ბაბილინა ქაიხოსროვნა?—შეეკითხა იგი ბაბოს, შამოსვლისთანვე.

—არა მიშავს... უკეთა ვარ...

—სასიამოვნოა, სასიამოვნო!.. სასეირნოთ ხომ არ წამობძანდებით?, სუფთა ჰაერის ყნოსვა ძლიერ მოგიხდებათ ახლა თქვენ...—დაუმატა მან, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

ივან პეტროვიჩი იმოდენ მზრუნველობას იჩენდა ბაბოზე, ისე თავისუფლათ და თამამათ ელაპარაკებოდა მას, თითქოს ვერც-კი ამჩნევდა ამ დროს იქ მყოფ გიგლას, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ისე გაებრაზებია იმის თავხედობას, რო თავს ძლივს-ღა იმაგრებდა.

—უკაცრავათ, ყმაწვილო, დრო არა გვაქვს!... -ბაბოს მაგიერ უპასუხა ივან პეტროვიჩს გიგლამ და ამ სიტყვებში იმდენი სიმკაცრე და წყრომა გამოიხატებოდა, რომ ივან-პეტროვიჩი ერთობ დაიბნა, ბუტბუტით ბოდიში მოიხადა და ჩქარის ნაბიჯით გარეთ გავიდა.

—ბაბო, რას ნიშნავს ყოველივე ეს?..—მიუბრუნდა შემდეგ გიგლა ბაბოს და გამომცდელი თვალები თვალებში გაუყარა.

— რა იყო?!. რა, რას უნდა ნიშნავდეს?!..

— ბაბო, თვალებს ნუ მიხვევ!... ნუ მტანჯავ...

— არა გცხვენია, გიგლა?. იჭვიანობ კიდეც!. ამის ღირსია შენი ბაბო... შენთვის თავდადებული?!.. ამ სიტყვებით ბაბომ თოვლივით თეთრი ცხვირ-სახოცი თვალებზე მიიფარა და მისი მცხარე ქვითინი ოდნავ გაისმა საერთო მყუდროებაში.

დედა-კაცის ცრემლები ქვის გულის პატრონსაც-კი მოალბობს.

გიგლაც, რასაკვირველია, რყევაში შეიყვანა ბაბოს ცრემლებმა და, თუ ერთ ყურში რაღაც საიდუმლო ხმა „ღალატს“ ჩასძახოდა, მეორეში იგივე ხმა ტკბილათ ჩასჩურჩულებდა: „ბაბო არ გღალატობს... არა.. შენ ცდები... ეშმაკი გადაგლობვია და გზა-კვალს გიბნევს...—“ ო

— „მაშ, რას ნიშნავს—გულის შეწუხება... მასწავლებლის თავ-ხედური ქცევა...“—ელაპარაკებოდა გიგლა თავის თავს და გულს დაურწმუნებლობის სევდა ულრღნიდა.

დიდ ხანს ესაუბრა ბაბოს გიგლა. ცდი-

ლობდა ორჭოფული სიტყვებით თვისი იჭვების საფუძვლიანობა გაერკვია; მარა ამაოთ. ბაბო ისე მოხერხებულათ იჭერდა თავს, რო გიგლას იჭვები თან და თან ეფანტებოდა...

დაბოლოს, იგი სრულებით დარწმუნდა, რო ტყვილა-უბრალოთ წამებდა ცილს ბაბოს, თავი დამნაშავეთ იგრძნო და პატიება თხოვა. ბაბოს მღელვარება მაინც არ უცხრებოდა. იგი არ იყო ჩვეული ცრუობის თქმას და, პირველ ქურდობაზე დაჭერილ გამოუცდელ ქუჩის ბიჭივით, ძლივს-ღა იგონებდა თავის გასამართლებელ „სიტყვას“.

მხოლოთ გულ უბრყვილო გიგლასთვის დარჩა ეს შეუმჩნეველი, რომელსაც ისე გაგიჟებით უყვარდა ბ.ბო და იმდენი რწმენა და იმედი ქონდა მისი, რო სულ ადვილათ მოყვა ეშმაკურათ დაგებულ ქსელში. მან გულ წრფელათ მიიღო ბაბოს ყოველივე სიტყვა და გულ-დამშვიდებული სანატრელ ოცნებას მიეცა. როდესაც იგი ომიდან მშვიდობით დაბრუნდება, საყვარელ ბაბოზე ჯვარს გადაიწერს და ორივენი ხელი-ხელ ჩართული, ახალგაზდური აფრთოვანებით და ბედნიერებით აღსავსენი შეუდგებიან ახალ ცხოვრებას.

—მაშ ასე, ჩემო შვენიერო!... მე მაგვიანდება... მაღალი ღმერთი მოწყალეა... მალე გათავდება ყველაფერი... ჩვენ კვლავ ვიხილავთ ერთმანეთს ბედნიერათ, სამუდამოთ შესაერთებლათ... იცოდე, რო შენზე ამომდის მზე...—მეტის თქმა ვეღარ მოახერხა გიგლამ, გრძნობით გულში ჩაიკრა ბაბო და თვალ აცრემლიანებული ბარბაცით გარეთ გავარდა და თავის გზას გაუდგა...

(შემდეგი იქნება).

გ. ებრალიძე.

რედაქციისგან.

შემდეგ ნუმერში დაისტამბება სრულიათ ახალი მხატრული ნაწარმოები ჩვენი ახალ გაზდა ნიჭიერი მწერლისა, დ. თურდოსპირელის **„ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ“**, რომელისაც ავტორი უხლვნის საქართველოს დიადი მგოსნის, აკაკის ხსოვნას.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ.

—

დღითი დღე მატულობს მწერალთა და პოეტთა რიცხვი ჩვენში. მარა, სამწუხაროთ ჩვენდა, ჩვენი წერა—ლექსობის გავითარებული ხელოვნება ბევრს ჩვენებურ ახალ მწერლებს გაცნობილი და შესწავლილიც არ აქვს. თუ, რამდენათ მდიდარია ჩვენი ენა სხვა და სხვა აზრთა ხელოვნურათ გამოსათქმელათ, ამის დასამტკიცებლათ, გვინდა, რამდენიმე მაგალითები მოვიტანოთ აქ. ახლანდელ დროში ზმნით წერა, ლექსობაში გათამაშებული სიტვების ხმარება, იშვიათია. ჩვენი პოეტების მასაზრდოებელი და აზრთა ჩამნერგველი წყარო რუსული და უცხოელი მწერლობაა. ახალი მიმართულების სხვა და სხვა ნაირი ფორმის ძებნაში ჩვენი მწერალნი სასაცილო გარემოებამდი მიდიან და, ამავე დროს, ივიწყებენ დიდებულ ხელოვნებას წარსული ჩვენი ლექსთა წერისას. მთავარი მიზეზი ჩვენი ახალგაზდობისგან ძველი სიტყვა-კაზმული მწერლობის ხელოვნების უცოდინაროობისა-ჩვენი გადაგვარებული ოჯახია. იშვიათად შეხვდებით ახლანდელ დროში ისეთ ქართულ ოჯახს, რომელშიაც ქართული ლექსის, ან მწერლობის შესახებ დრო-გამოშვებით სჯა-ბაასი, ან რამე ვარჯიშობა იყოს. მაშინ, როდესაც ამ ოცი, ოცდაათი წლის წინათ, დარბაისელ ძველებურ წერა-კითხვის მცოდნე ოჯახს ვერ ნახავდით ისეთს, რო ყოველ დღე, რამდენიმე საათი მაინც, რამე ქართულ ხელოვნურ ნაწარმოებზე სჯა-ვარჯიშობა არ ყოფილიყო. ქართველი თავმომწონე ოჯახის შვილისთვის ისეთივე სირცხვილი იყო ვეფხის-ტყაოსნის კარგათ, ან მისი საუკეთესო ადგილების ზეპირათ არ ცოდნა, როგორც ახალი უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებულთათვის პუშკინის, ან გოგოლის წაუკითხველობა. მოკიტან ერთ მაგალითს იმისას, თუ, როგორ განსაკუთრებულ ჩვენ ოჯახებში დამყარებული ჩვეულების მეოხებით, იწვრთვნებოდა ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ახალგაზდათა ნიჭი ლექსთა წყობაში და სხვა და სხვა

ლიტერატურულ ფორმათა გამოხატვაში. ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ, ძველებურ ხასიათზე დაფუძვნებულ ოჯახთაგანათ ითვლებოდა დიდი დავით გურიელის-მამიას და ჯამბაკურის მამის სახლი, გურიაში. დედა პოეტისა, ეკატერინე, დიდი ნიკოლოზ დადიანის ასული იყო, ღრმა მცოდნე ძველი ქართული ლიტერატურის. როცა მამია, მისი ძმები და ლიტერატურული მსჯელობით გატაცებული შემთხვევით ამ ოჯახში შეკრებულნი, რამე ძველი სიტყვის განმარტებას მოინდომებდენ, დადიანის ასული,-დედა მამიასი, ითვლებოდა ავტორიტეტათ და ის თავის ღრმა დაკვირვებული ახსნით აკმაყოფილებდა ყველას ცნობის მოყვარობას. ამ ოჯახში, ხშირათ, მოდიოდენ ჩვენი მწერლობის და ისტორიის მოყვარულნი სხვა და სხვა მსჯელობის და აზრის მოსასმენათ. ერთხელ, მობძანდა სტუმრათ ამ ოჯახში გრიგოლ ეპისკოპოზი დადიანი. ის მაშინ ახალი დანიშნული იყო გურია—სამეგრელოს ღვდელ-მთავრათ. მან მოისურვა ზმნიანი ლექსის მოსმენა და იქვე მყოფ ახალგაზდა მანდილოსანს, მაზიას დისწულს, ფეოდოსია თავდგირიძის ასულს თხოვა ისეთი ლექსი დაეწერა ხელათ მის წინ, რო გრიგოლ ღვდელ-მთავარი გამოსულიყო შიგ. ფეოდოსიამ დაუყონებლივ შეასრულა ეს სურვილი. იქვე დაწერა მან და გადასცა გრიგოლ ეპისკოპოზს შემდეგი შინაარსის ლექსი:

„მდინარე ეგრი გოლგიან დღეში,
მოწყურებულთა წყურვილს უნელებს...
ხან ადიდდებდა, აღჩობს ერს და ღვდელთ-მთავრის მამულსა მოურწყავს ველებს:
ენგური აძევს ამ წყალს სახელათ, იქ კრებს მეგრელი იის ყვავილებს,
არ გვინდა, დია, ნილოსის წყალი,
ჩვენ სხვა მდინარე ვერრას გვაშველებს!

რამდენი ცოდნა, ლექსთა წყობაში გამოცდილება და ვარჯიშობაა საჭირო, რომ „ექსპრომპტათ“, ნაჩქარევათ და შეკვეთით ასე ადვილათ ზმიანი ლექსი დაწეროს კაცმა! ეს მხოლოთ შეიძლება იმ წრეში, სადაც ხშირია ლიტერატურულ ხელოვნებაში ვარჯიშობა და ლექსთა წერა-კითხვა ჩვეულებათ არის გადაქცეული... სასურველია შეკრება ჩვენებურ კერძო ოჯახებში შენახულ, სხვა და სხვა შემთხვევების გამო, დაწერილ ლექსების და ხმების. ძველათ, ისე ხშირი მოვლენება იყო ლექსთა წერა, რო ჩვეულებრივ საოხუნჯო დროს გასატარებელ საგნათ მიაჩდათ ეს. ახლა-კი, თუ ვინმემ, რამე რითმის შეთანხმება მოახერხა, დაუყონებლივ დასაბეჭდავათ გზავნის... ჩვენი ხალხის ნიჭიერებას და გონებით ვარჯიშობას უფრო ნამდვილათ სახავს ხალხში შენახული და გავრცელებული მწერლობა...

ვეცდებით შემდეგისთვისაც „განთიადის“ მკითხველებს გავაცნოთ, რამდენიმე საყურათღებო ლექსები სხვა და სხვა ჩვენებურ გარემოებაში დაწერილი და ზოგიერთ ოჯახებში შენახული.

ნიკო თავდგირიძე.

ფელეტონი

იმერელს გადამეტებით უყვარს, მართლაც, ბუნებით ტურფადა შვენიერი ქუთაისი. ამ გადამეტებული სიყვარულით დამთვრალი, იგი აღტაცებით წამოიძახებს ხოლმე:

— ჩვენი ქუთეისი ნამდვილი ედემია!

და დაუმატებს ზედ:

— შეხედეთ ამ ედემს! აღმოსავლეთით ტ ჩრდილოეთით ამ ლამაზ ქალაქს დაყურებს ამწვანებული „მწვანე ყვავილის“, საფიჩხიის და უხიმერიონის მთები, რომელიც შუაზე გაუტრია ძველ, ისტორიულ მღელვარე მდინარე ფაზისს, რომლის ზვირთები ბატკნებივით თამაშით და ხტომით ცელქათ მირბიან თავ-ქვეეს მდინარე თვისი ტალღებით გამწარებით ეხეთქება ფერმის და გვირაბის სალს კლდეებს ტ თვისი ყინულივით ცივის წყლის ცვრებით აგრილებს ზაფხულში ქუთაისის არე-მარეს.

სამხრეთით და დასავლეთით-კი გაშლილია ერთი უმდიდრესი და უშვენიერესი ვაკე ამ დიადი ქვეყნისა თვალ-უწვდენელი შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებამდი, რომელზე-

დაც მოსვენებით და ნელათ მიღელავს იგივე ფაზისი, ახლა უკვე დიადი და მედიდური თვისი ცელქი და გიჟი შენაკადებით...

თვით ქუთაისიც ცნობილია ჩვენში თვისი დიდი ისტორიული ნაშთით — ბაგრატის დიადი ტაძრის ნანგრევებით და ციხე-გვირაბით, საიდანაც ჩანს ასევე დიდი ისტორიული სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა — დიადი გელათი. აქედანვე ჩანს ტყიბულის მთა, კავკასიონის მაღალი ქედი, ახალ-ციხის და აჭარა-გურიის მთები, რომელნიც დანთქმულან შავი ზღვის ანკარა და ლაჟვარდ მოკამკამე ზვირთებში. ქუთაისია შუა გული აღგილი მთელი საქართველოს დასავლეთისა, საიდანაც უწინაც დ დღესაც დუღდა და ვრცელდებოდა ჩვენში საკმაოთ მღელვარე და მოფუსფუსე, კულტურული ცხოვრება და ბრძოლა...

მარა, სამწუხაროთ, სწორეთ აქვე წყდება იმერლის აღტაცება... და მის სიტყვებსაც ეძლევა... დასასრული.

მარა, ყველა ეს, რაკ თქვა აქ იმერელმა, ხომ ისტორიაა და ბუნება, რომლის შემოქმედებაში დღეინდელი კაცის ხელი და ჭკუა არ ურევია.

თვით დღეინდელი იმერლის ნამოქმედარი, ქუთათურის ნააზრ-ნაფიქრი, მისი ნახელავი და ნაჯაფარი, რა არის, ან სად არის, ერთი მიჩვენეთ, რომელსაც მატერიის სახე მისცემოდეს და უცხოელის, განათლებული მოგზაურის, ევროპელის თვალსა და გულს იზიდავდეს ანდამანტივით?

სრულიადაც არაფერი.

ტიპიური ნიშნები არა კულტურული ცხოვრებისა ხომ საზოგადობრივი ცხოვრების სრული უარყოფაა.

და, აი, საზოგადობრივი ცხოვრების ნატამალიც არ არის აქ.

რო თქვას კაცმა, აქ საკმაო რიცხვია მკურნალებისა, ადვოკატებისა, მასწავლებლებისაც. მარა არ არის ღრმათ, წარბ შეკრულ, განათლებულ ინტელიგენტთა დიდი და ცოცხალი წრე, ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოველმყოფელი საზოგიდოება, რომელიც ევროპული ქალაქის ელ-ფერს აძლევდეს ქუთაისს.

ყველანი და ყველაფერი აზიურს, გულის და სულის დამაღონებელს ინდეფერდენტიზმს და საშინელ ბედოვლათობას ჩაუყლაპავს და ქუთათურთა ორი დღის სიცოცხლის წუთები მიდის ისე, როგორც მიდიოდა ამ ოცდა ათი, ორმოცი წლის წინათ...

გაუბედურებული ქვეყნისთვის და დიდ საქვეყნო საქმისთვის არავინაც არ ზრუნავს, არ ფიქრობს და, რაც უფრო საჭიროა, არაფერსაც არ მოქმედობს. ვინც-კი ხელს მოკიდებს სახეირო რასმეს და დაიწყებს სასარგებლო საქმეს, მას დაცინვის და მასხრათ აგდების მეტი არაფერი ხვდება წილათ... და იმასაც ძალა უნებურათ, ხელები დამბლა დაცემულივით ძირს უცვივა და სამუდამოთაც გული უტყდება...

ამდენი ხნის განმავლობაში მთელ დასავლეთ საქართველოში ერთი ქველ-მოქმედიც არ გამოჩენილა, არ დაბადებულა, რო თავის სასახელოთ ღარიბი ქუთაისისთვის შეეწირა რამე, ან რაიმე მემკვიდრობა დაეტოვებინა, რო ქუთათურთა მოზარდი თაობის აღზრდა და განათლება კარგს და მკვიდრს ნიადაგზე დამდგარიყო. თვით ქუთაისიც მოწყობილიყო ისე, რომ იგი დამსგავსებოდა რიგიანათ მოწყობილს, შვენივრათ შემკულს, ევროპულს ქალაქს, რომ აქ სიცოცხლე მომაბეზრებელი და გამწარებული არ იყვეს.

ქუთაისი სულ ერთიანა ჯიბე ცალიერ, კოტრებით არის სავსე. საკვირველია, რომ აქ ადვილათ მდიდრდება სომეხი, ურიაც და იმერელი-კი ვერა. ქალაქის ბაღის, ასე წოდებულ, ,,ბულვარდის'' გარშემო შვენიერი, მდიდარი სახლები და მაღაზიები, რომელთა თვალის მომზიდველ დიდი ფანჯრების წმინდა შუშაბანდებიდან ათასი-ათიათასი ძვირფასი ფარჩეულება გამოიყურება, სულ ერთიანა სომხების და ურიების არის. იმერელს-კი, თავის დედა ქალაქში, ვერ მოუხერხებია, არა თუ სამრეწველო და დიდი სასოვდაგრო საქმეები, არამედ ხეირიანი მაღაზიის მოწყობა, უბრალო სავაჭრო,

საწვრილმანო საქმე, თუ არ სამიკიტნო და საქეიფო დუქან—რესტორანები... იმერელი ამ მხრით, თვით ქუთაისშივე, თავის საკუთარ ქალაქშივე, ვაჭრობის სტადიის მეორე და მესამე საფეხურზე ძლივს დგას. იგი შემოდგომას შესცქერებია, როცა იმერელი გლეხი სოფლიდან ქუთაისის ვიწრო ქუჩებს მწიფე ყურძნით დატვირთულ ურმებით გაავსებს, რომ 60 კ. 80 კ. ფუთი ყურძენი იმას დასცინცლოს და საკუთრათ მოწყობილს, მამაპაპურს მარანში ღვინო დააყენოს, თავის თავისა და თავის ცოლ-შვილის გამოსათრობლათ, გამოსაბრუჟებლათ, რო მტერს თვალი მოჭრას, თვალი დაუყენოს, რომ ამ იმერელ-ქუთათურსაც მამა მისივით, ბაბუამისივით შვენიერი ნამდვილი ღვინო დაუყენებია და, მაშასადამე, მამულის მოსიყვარულე შვილია, ჭეშმარიტი პატრიოტია...

ნეტავი, განახვათ იმერელი მაშინ, როცა ამ თავის ნაკეთებ ღვინოს შეექცევა და გამოთრობას ლამობს. იგი ამ დროს, ამ სიმთვრალეში, მართლაც, ნამდვილი პატრიოტია...

მას უხარია კიდეც შემოდგომაზე, როცა მაჰარი დადუღებულია, სტუმარი ეწვიოს და გაერთოს, დატკბეს. და, აი, ჩვენ ქუთაისსაც მრავლის უმრავლესი სტუმრები ეწვევიან ქვემო და ზემო იმერეთის, ლეჩხუმის, რაჭის, ოდიშის და გურიის არე-მარიდან და სტუმარს, თუმცა, რასაკვირველია, ძღვენიც მოაქვს, მარა ეს ძღვენი ერთს იჯრაზე შეიჭმება და სტუმრები-კი, ერთი თვის განმავლობაში, წასვლას სოფლათ არ ფიქრობენ, არხეინათ ქუთათურ მასპინძლისას მოკალთებულან და ჩვეულებრივ, მამაპაპურათ, დროს ატარებენ...

აქიდან თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ იმერელს, რატომ ვერ მოუხერხებია თავის თავზე ფიქრი, თვით ქუთაისში საკუთარ სავაჭრო ფეხზე დგომა, წარმატება და მთელი სიცოცხლე მიდის ასე... საყველ-პუროთ, ასე კოტრულათ...

სამაგიეროთ, იმერელი გარეთ გასული, არა ქუთაისში მცხოვრები, ქართლ-კახეთსა, ჩრდილო-კავკასიასა, კასპიის იქითა მხარეს და სპარსეთშიაც ძალიან ფხიზლათ, მღვიძარეთ არის, გაცილებული თავისიანებს, რომელნიც იმას ყოველთვის ხელს უშლიან, წინ ეღობებიან ქუთაისში... იქ, გარეთ, ანგარიშით ცხოვრობს, ჭკუიანადაც მუშაობს და ამნაირის ყაირათიანი ცხოვრებით იმერელი ქონებას, შეძლებას, დიდ დოვლათსაც იძენს და თვალ საჩინო წევრიც გახდება ხოლმე თვისი დიდათ საყვარელი სამშობლო ქვეყნისა. ამისი ბევრი მაგალითიც არის.

საერთოთ-კი, იმერელი კაცი ვერ შეედრება ქართლელს მომჭირნობასა და დიდი დოვლათის შეძენის ნიჭში. გათქმული გვარები, ყმების გათავისუფლების შემდეგ, რომელთაც თავი ისახელეს აღებ-მიცემობის, ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზე, სულ ერთიანა თფილისელები და ქართლელებია: ფორაქიშვილები, ქართველიშვილები, ძეგველიშვილები, სარაჯიშვილები, სეხნიაშვილები, ზუბალაშვილები, მანსვეტაშვილები და სხვები. მარტო ეს ფაკტი ჩვენ ძალიან ბევრს გვეუბნება. მარა ამაზე შეჩერებისთვის ახლა აქ არც დროა, არც ადგილი და არც ამ სტატიის საგანს შეეხება....

იმას მოგახსენებდით,—ქუთაისი ძალიან ჩამორჩენილი, ბინძური და მოუვლელი ქალაქია. ქალაქი-კი არა, უფრო ერთი დიდი სოფელია, სადაც არ არის, არც ქარხნები, არც ფაბრიკები და მცხოვრებნიც რაღაც გამოლენჩებულ-გამოყეყეჩებული არიან და არ გვანან ჭკუიან, დარბაისელ და ზრდილობიან მოქალაქეებს ᲥᲐᲚᲢᲛᲔᲜᲔᲑᲡ...

აქაური მცხოვრები წმინდა, ანკარა წყაროს წყლის, ან ფილტრებით დაწმენდილ რიონის წყლის მაგიერათ ტალახს სვამს. ასეთი სასმელისა და ზენა ქარების წყალობით, რომელიც მთელ ქუთაისს მტვერის კორიანტელში ახვევს მთელი ერთი კვირის განმავლობაში და ათასი გადამდები სენი—სხვა და სხვა ფორმის და ფერის სახადი (ტიფი), ფაღარათი, მუცელა, ყელათმა, დიფტერიტი, ჭლექი, ჩვენებური ციებ-ცხელება—უჟმური, მალარია, კუჭის და წელების ანთება მუსრს ავლებს მცხოვრებლებს, ნამეტურ, მოზარდ თაობას და მოსწავლეებს...

არ არის ტრამვაი, ავტომობილები, რიგიანი მოკირწყლული ქუჩები და ქვა ფენილები, არ არის ბაღები და სასეირნო ადგილები, არც განათება, არც კანალიზაცია...

სანიტარული მდგომარეობა ქუთაისის სწორეთ საზღაპრო და საარაკოა... ღორებს და უპატრონოთ აშვებულ მუნიან ძაღლებს გვერდს ვერ აუხვევ, ნამეტურ, შებინდების შემდეგ. ყოფილა იმისი მაგალითიც, რო გამვლელი, ღამით, თფილისის ქუჩაზე ძაღლებს დაუგლეჯიათ...

თითო-ოროლა პატიოსანი მკურნალი, მე ამაში დაჯერებულიც ვარ, ძალიანაც წუხს ასეთს ანტისანიტარულ მდგომარეობაზე. მარა, რა გამოვა?

შეიკრებებიან, „მოილაპარიკებენ“, მარა ამ ჩვენებური „ლაპარიკი-ლაპარაკი“ დან ხომ საქმე არას დროს არ გაკეთებულა...

ადესილი.

კრიტიკა.

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი.*)

ახლა ჩემ თავს ნებას ვაძლევ მკითხველს წარვუდგინო აქ ჩემი აზრები და შეფასებანი აკაკის დიადი ტალანტისა, რომელიც სხვა და სხვა დროს ჩემ კრიტიკულ წერილებში სტამბის საშვალებით გამომითქვამს.

ქართულს ახალს პოეზიას, ჩვენდა საბედნიეროთ, მუდამ ამღელვარებდა, ასულდგმულებდა, აცხოველებდა ყოველთ პატიოსანი, წმიდა საერო აზრები და გრძნობანი. ამ გრძნობებს და აზრებს მტკიცე კავშირი ქონდა ცხოვრებასთან და განსხვავებულის ხასიათით, შინაარსით და ელფერით აღბეჭდეს ჩვენი გრძნობა-გონების და ზნეობის დღეინდელი ვითარების საქმე.

ერის ხანგრძლივ ცხოვრებაში ხშირია ხოლმე ისეთი ისტორიული გარემოება, როდესაც ერისავე სულსა და გულს, სხვა და სხვა მრავალ გვარ აზრებს, გრძნობებს და ოცნებათა მისწრაფებას უხატავს მხოლოთ ერთად ერთი პოეზია, საკუთრივ ლირიკა. ამიტომაც, ლირიკას დიდი თვალსაჩინო, ღრმა მნიშვნელობა და ძალა ქონდა ყოველთვის, ყოველგან და აქვს ახლაც, იმის და მიხედვით, — თუ როგორია ვითარება, ან საზოგადო ყოფა ერის ცხოვრებისა. ლირიკა ხშირათ სარკესავით გამომხატველია, დამნახვებელია ერის გულის ჩივილისა, მდურვისა, საშინელის ტანჯვა-მწუხარებისა. ან ბედნიერების, მხიარულების, სიცოცხლის დამატკბობელის დრო-ჟამის სადღესასწაულო და სასიამოვნო ამბების აღმომთქმელია. განსაკუთრებით ქართველთათვის, ჩვენს ბედში მყოფი ერისთვის ლირიკა შეიქნა თითქმის ერთად ერთი უტყუარი, ჭეშმარიტი გამომხატველი ჩვენი სულისა და „გულის ნადებთა“, ჩვენი აზრებისა და გრძნობათა წმინდა სარკე. საქართველოს უპირატეს შვილებს, დიდი ხანია, რაც ლირიკის საფარველ ქვეშ შეუფარებიათ თავი თვისი, აქ გადუშლიათ დაჭრილის, გამწარებულის გულის დარდები და აუმეტყველებიათ ენა, მომეტებულ ნაწილათ, უსაზღვრო და ღრმა მწუხარების აღმოსათქმელათ. მაშასადამე, ლირიკა ქართველთათვის ის წმიდა და მდიდარი სალაროც გამხდარა, სადაც სულ ერთიანა პირ-წმინდათ, შეუმწიკვლელათ დაცულა და შენახულა ერის ძვირფასი სამკაული, ქვეყნის უძვირეს შვილთა ღრმათ ნაალრი და ნაგრძნობი, სული და გული...

მარა, ვაი... რო ლირიკა სიხარულისა ტ ლხენისა არ იცის ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ. წუთი სოფლის ბრუნვამ, დიდი ხანია, ხელი აიღო ბევრი ვაებისა და ჭირ-ბორეტების მნახველს ქართველობაზე, ცხოვრებამაც დამტუქსველი და ანჩხლი დედინაცვლის სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას, ინტელიგენციასაც და საქართველოს სასიქადულო მგოსანთა მგრძნობიარე, მღელვარე გული მწარეთ ააკვნესა და... შეწუხებული „ობოლი სულის ოხვრა“ შექნა უსაზღვრო, მეტათ მძიმე და აუტანელი. ეგ სახელოვანი „ობოლი სული“, რომელიც ნაღვლიანათ „ჩონგურს“ ჩაკითხავს: „ნეტავი, ოდეს ხმა მხიარული შენგან მსმენოდესო“ და „ქართლის ბედზე“, რომელსაც „მოაკლდა თავისუფლება“, წვეთ-

*) იხ. „განთიადი“, № 5.

წვეთათ აფრქვევს მდუღარე ცრემლებს, საშინლათ, ზღვის ზვიროსავით შფოთავდა და „პატარა კახს“ სოფიოსა და სოლომონის პირით გაბოროტებული, ცეცხლ-მოკიდებული ეკამათებოდა, რო მან ასე მოულოდნელათ „გადასწყვიტა ბედი ქართლისა“, საოცარის თავ-განწირულის სულის კვეთებით“ და აღელვებულის „გულის კვნესით“ უარ-ყოფს, „შორდება მამულს“, თავის „წინა-პართ საფლავებსა“ და მიწა-წყალს!..

მეორე, ამ ნაირათვე და ამ მიზეზითვე გაბოროტებული, საოცარი მგოსანიც, აი, რა ბასრი და სამართებელივით მჭრელ სიტყვებს აფრქვევს გულის საკირიდან:

ცრემლში ნალესი ნაღველი —
მინდა, რო მელნათ ვიხმარო,
საწერლათ მივსცე გლახგული
ფრთა კალმათ აღარ ვიკმარო!
მის ნაცვლათ ენა ჩავუწო,
საწვერ-მახვილო ისარი!..
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!
თავ-განწირულათ პირ და პირ
შევეჭიდები ქვეყანას!..
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რო დამწყდეს მისთანას?..“

რა გარემოება იყო ისეთი მძიმე და აუტანელი, რომ ასე საშინლათ, ძლიერათ და ღრმათ გამწარდენ ეს რჩეულნი? ადვილი საკითხავია, განა?!...

სიხარულისა, სიტკბოებისა და ლხენის, თუმცა „ქმუნვის მახვილი გულსა მსობია“ მგოსნის, ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავს გულის ჩამწყვეტის ცრემლებით დასტირის გამწარებული მგოსანი:

„შენ არ დაგწვია ჩვენსავით გულიო..
თვარა სხვა გვარად,
მწარედ და მარად...
გესლით ჯ ნაღვლით იწყებდი ძგერას...“

და ესენიც ურიასტანის დიდებულ წინასწარმეტყველივით მუდამ გოდებენ:

„სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ყავთ ცხრა-კლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს,
ჯოჯოხეთი მიძევს გულში!...“

და ამ „სრულიათ ურწმუნოს გრძნობითა და გონებითა“ ის უნდა,

„რო სამშობლო მტრის სისხლითა
იღებავდეს ჭაღარასა!...“

თუმცა სულის ისეთის მღელვარებითა და შფოთვით-კი არა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი, მარა ამავე გრძნობას ხატავს მესამე პოეტი ილიაც:

„დაჟინებითა ფიქრი ფიქრზე მოდის,
გროვდება,
გრძნობა გრძნობაზე შეუპოვრათ იძვრის
ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი,—მიხარია, რომ ეგრედ
შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში..“

მწარე, ლოდივით მძიმე, აუტანელი გრძნობა იპყრობს პატიოსანი ბუნების ადამიანს, როდესაც ესმის ასეთი ღრმა და ძლიერი ოხვრა, აშფოთებული სულის უძირო წუხილი, გოდება... ხელოვნურათ დიდის ნიჭიერებით ჩამოსხმულს ლექსთა საოცარ ხმებს გადუბირებელი არსება მაშინვე ემორჩილება, სულის სიღრმემდი ჩააქვს იგინი და სრულიათ იკვეთება. იმიტომ, რომ იქ იხატება და სულდგმულობს სამშობლოსადმი უღრმესი, თავ-გადადებული სიყვარული, ადამიანის გამაცოცხლებელი, მაღალი გრძნობა და ანკარა წყაროს წყალივით სპეტაკი აზრი, რომელიც საკვირველის მღელვარებით, შფოთვით და ოხვრით გულის საიდუმლო ფსკერიდან ამოაქვს საყვარელ მგოსნებს... დიახ, დიდათ შესანიშნავია, საყურათღებო და დასაფიქრებელიც ასეთი ხასიათი ჩვენის ახალი ლირიკისა და ეს საგანი ღირსია იმისა, რომ იმაზე როდისმე ვრცლათ ვისაუბროთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო...

მე აღვნიშნე აქ მარტო საგანი და ხასიათი ჩვენი ახალი ლირიკისა. ხოლო გარეგანი ფორმაც, ტეხნიკური მხარე ლექსებისა და ენაც დიდათ განსხვავებულია იმ პოეტების ნაწარმოებთან შედარებით, რომელთა საგანი,

მომეტებულ ნაწილათ, იყო სიხარული, ქალის ტრფობა და სიყვარული, უდარდელი ლხენა და „სიამენი სოფლისანი“. ახალი ლირიკის წარმომადგენელთა შორის, ორი სრულიათ დამოუკიდებელი და ორიგინალური მგოსანია ამ მხრით დიდათ შესანიშნავი. ერთია ნიკოლოზ ბარათაშვილი და მეორე—აკაკი. გარეგან ფორმით მოკლეთ ჩამოსხმული ამ მგოსანთა ლექსნი იმდენათ შვენიერი, ტურფა, საუცხოვო, მუსიკით აღსავსეა, მდიდარი ფანტაზიის სურათთა უბრალოთ, მარტივათ გამოკვერით იმდენათ ძლიერია და ენერგიული, რო პატიოსანის კაცის გულს ღრმათ ბატოკებს და სრულიათ მოინადირებს, დაიმორჩილებს... განსაკუთრეებით აკაკის, მარტო პოეტისა კი არა, თვით განხორციელებულის პოეზიის—აკაკის შვენიერი და ტურფა „ჩონგურის“ აღმოთქმანი საოცრათ მოქნილი მკვეთრი, მასთან „ნაზი, ნარნარია“ და მით უფრო ძლიერია. პოეტის „ჩონგურის“ ენამშობელი ერის გულის დიდი მოსიდუმლეა და საკვირველის ხმებით ხატავს იმის წმიდასა და სპეტაკს გრძნობათა, სურვილთა, ოცნებათა, სიხარულთა... სიხარულთა, რომელნიც ხშირათ, ძლიერ ხშირათ, ფერსა და კილოს იცვლიან და გარდაიქნებიან გამწარებული გულის სიღრმიდან საშინლათ ამომსკდარ უკმაოობის, უმადურობის კივილათ... კვნესათ.. ნაღვლიან წუხილათ, სევდათ და ეს სევდაც ბოლოვდება რაღაც მწარე, მარა მანუგეშებელ ღიმილათ და პოეტს მაშინ...

„ის ღიმილი ხელთ უპყრია
მტრისთვის ხმლათ და მოყვრის ფარად?!...

აკაკის ლირიკის საოცარს ფორმას, ტეხნიკურს მხარეს გაცვიფრებაში მოყავს თვით პოეტის მტრებიც, რომელთაც განუსაზღვრელის ზიზღითა და სამართებელივით მჭრელის ირონიით უღადრავს გულ-მკერდს და უშხამავს სიცოცხლეს ძლევამოსილი მგოსანი. პოეტმა სრულიათ შეითვისა სახალხო ენის საუბრის საიდუმლო ხმა და კილო და ქართულს ლიტერატურაში ამ მხრით მოახდინა მთელი რევოლიუცია. მაღალი ტალანტის მექონი აკაკის დირიკა მიუახლოვდა თითქმის გენიოსობის საზღვარს და ქართველთა სადხისა და საზოგადოების სულის მოძრაობა, ცხოვრება, ბოეზია ადიბეჭდა მის ნაწარმოებში და მასში ბოვა მან თვისი გულ-წრფელი და ჭეშმარიტი გამოსატველი... *)

1) მდგომარე 1915 წ. გაზ. „თემის“ № 205-ში პატივცემული ლიტერატორი, გიორგი მიხ. თუმანიშვილი დიდათ საყურათღებო მოგონებას წერს აკაკიზე. ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რო რუსეთში, სამოციან წლებში, სალიტერატურო ფორმას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდენ. პუშკინს და ლერმონტოვს დაცინოდენ. მაშინ წამდათ მხოლოთ ბუნების მეცნიერების სარგებლობაო...

ბელინსკის შემდეგ, რუსული კრიტიკა „სამოქალაქო ვალდებულებაზე“ წერდა აღტაცებით და აქითკენ მოუწოდებდა მგოსნებს და მწერლებს. ამიტომაც, არ იყო კრიტიკა მხატვრულ ფსიქოლოგიური, წმინდა ლიტერატურული (რასაკვირველია ესთეტიური კრიტიკა არ იქნება სრული, თუ იგი სოციოლოგიურ მეთოდს არა ხმარობს), არამედ იყო პირ და პირ „სამოქალაქო“, პუბლიცისტური, რომელიც უარს ყოფდა ესთეტიურს თვალ საზრისს მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზის დროს. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვიც, პისარევი ხომ, რასაკვირველია, მიხაილოვსკი შინაარს აქცევდენ დიდ ყურადღებას... Плехановъ, წერს ჩვენი დროის ერთი ნიჭიერი კრიტიკოსი - მარქსისტი, считающій, что „достоинство художественнаго произведенія опредѣляется въ послѣднемъ счетѣ удѣльнымъ вѣсомъ его содержанія“,—всѣ они ушли отъ бѣлинскаго въ сторону торжествующей общественности и этики. Поэтъ-гражданинъ и учитель-такова формула русской критической мысли этого періода. Эстетика—второстепенное въ искуствѣ, для моралиста она даже зло!!.

ასეთივე ამბავი მოხდა საქართველოშიაც. „საქართველოს მოამბეში“, სადაც თავმოყრილი იყო მთელი ქართველი განათლებული ახალგაზდობა, აკაკი წერეთელს არ ვხედავთ, წერს ჩვენი ლიტერატორი., ნიკო ნიკოლაძის„ კრებულ-დროებაში“ იბეჭდებოდა აკაკის ლექსები და ფელეტონები... კრიტიკა აკაკიზე სდუმს. ამაზე არამცთუ მთელ სტატიებს, მოკლე შენიშვნებსაც-კი ვერ ვპოულობთო...

ვისაც დაველაპარაკებოდი ქართველ განათლებულ, მწერალ ახალ გაზდებს აკაკის პოეზიაზე, ყველა სგან მხოლოთ დაცინვა მესმოდაო. ერთი სიტყით, მაშინდელი თაობის თვალში მგოსანი უნდა ყოფილიყო მოძღვარი, მორალისტი, რომელსაც ახალი იდეები, ახალი მორალები უნდა ექადაგებინა და სრულებითაც არ აფასებდა სიცოცხლის და სულის მოძრაობის, ადამიანის ხასიათისა და გრძნობათა ხელოვნურათ დახატვას, შვენიერების თეორიას სრულიათ უარს ყოფდა ..

უნდა გამოვტყდე, მეც ჩემს სიყმაწვილეში გულწრფელათ გატაცებული ვიყავი ასეთი მიმართულებით..... და 1887 წ., როგორც მახსოვს, კრიტიკული სტატიაც დავსტამბე ორ დიდ ფელეტონათ მა-

ამ გვარათ, ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო და შეითვისა სიტურფე და შვენიერება განსაკუთრებით მაშინ, როცა გატარებულ იქნა იგი, — რუსულათ ვიტყვი, — СКВОЗЬ ПЛАМЯ ПОѢТОВЪ". ამიტომ, მე მგონია, ქართული ენის შესახებაც ივივე უნდა ითქვას, რასაც ამბობს ემილ ზოლა ფრანგულისაზე: საჭირო იყო თაობა ლირიკულ პოეტების, რომ ენა გამხდარიყო ფართე, მოქნილი და ბრწყინვალე იარაღიო". და, მართლაც, აკაკის შემდეგ, მთელი ჩვენი აწინდელი პოეტები: ჭალადიდელი, გრიგოლ უმწიფარიძე, გრემელი, გრიგოლ აბაშიძე, ცახელი და სხ. და მოლექსე იოსებ დავითაშვილიც ამ მხრით აკაკის სკოლას ეკუთვნიან და ზოგი იმათგანი, როგორც მაგალითად, დავითაშვილი, პირ და პირ აღიარებენ აკაკის თავის„ საყვარელ მოძღვრათ და ოსტატათ"...

აი, ამსახელოვან მგოსანთა ლირიკამ ჩაბერა უკვდავი, ძლიერი და მაღალი სული აღორძინებისა ქართულ ლიტერატურას. გაუფართოვა, გაუგანიერა მას ასპარეზი და საზღვარი მრავალ

შინდელ გაზ. „ივერიაში" და გავარჩიე აკაკის შეხედულებანი და აზრები, რომელიც მან გამოთქვა თავის შესანიშნავ ფელეტონებში („ივერიაშივე"). იმ ჩემს სტატიებში მე უშესანიშნავეს ფალავნათ და უდიდეს მგოსნათაც ილია გამომყავდა, აკაკი-კი... იჩრდილებოდა.... ასე დაუნდობელი იყო კრიტიკა აკაკის შესახებ... მარა ამ ოცი წლის წინათო, წერს ბ-ნი გ. თუმანიშვილი, აკაკი დააფასა კრიტიკამ.

როგორც მოგეხსენებათ, ამ ოცი წლის წინათ ჩვენში ერთად ერთს გაზეთს „ივერიას" გვერდში ამოუდგა ჟურნალი „კვალი", რომლის კრიტიკული განყოფილება მე ჩამაბარა: აკაკიმ, გიორგი წერეთელმა და ივანე მაჩაბელმა.

მე მიხსნა ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელიც სამოციან წლების თაობისა და „ნაროდნიკების" წინააღმდეგ, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა მხატვრობას, პოეზიას და სალიტერატურო ფორმების შვენიერათ ხმარებას ინდივიდუალურ შემომქმედობის ნაწარმოებში. მეც ჩემს კრიტიკულს სტატიებში პირველათ საქართველოში 1893 წ., ჟურ. „კვალის" ფურცლებზე შევაფასე აკაკის ლირიკა და დავამტკიცე, რომ აკაკას ბადალი ლირიკოსი საქართველოს არ ყოლია, არც ყავს-მეთქი. დღეს, მადლობა ღმერთს, ამ ჩემს აზრებს ქვანიც-კი ღაღადებენ... 1893 წ. ეს აზრები მთელს რევოლიუციას წარმოადგენდა და მეც დაუზოგველი ლანძღვა-გინება მერგო წილათ მაშინდელ „ივერიაში"...

ავტორი.

გვარ საერო, სასარგებლო და პატიოსან აზრთა და გრძნობათა ჩაგონებით და, ბოლოს, მიანიჭა კიდეც იმდენი ზნეობრივი და მაშასადამე, საზოგადობრივი ძალა და მნიშვნელობაც, რო თითოეულს პატიოსან ქართველს შეეურცხვენელათ შეუძლია იმედითა და სასოებით უყუროს თვის შშობელი ერის გრძნობა-გონების ვითარების საქმეს, ხალისი და მხნეობა მოიმატოს, სული მოიბრუნოს და წრფელის გულითა და სინდისით შეუდგეს თვისი ქვეყნის წმიდა, უანგარო სამსახურს..

მარა, მოგეხსენებათ, ქვეყნის სამსახურისა და რაიმე სამკვიდრო კეთილის გახორციელებისთვის მარტო ხალისი და მხნეობაც არა კმარა. ამისთვის რო მართლა ცალიერი ხალისი და მხნეობა იყოს საკმარისი, მაშინ ხომ ჩვენებური ტრეტიაკოვსკებიც, რომელთა სახელი ლეგიონ, პირ და პირ დიდ-დიდ საზოგადო მოღვაწეთა და უკვდავთა შორის ამოყოფდენ თავს!.. მე თქვენ გეტყვით, ხალისი არა აქვთ, თუ? მარა, მადლობა ღმერთს, ბედნიერს გარემოებას, დიდი ხანია, დაუცავს და დაუფარავს საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი ურიცხვ და უტიფარ მჯღაბნელთა შემოსევისგან და მისი მადლი უკვდავებისა მიუნიჭებია მხოლოთ რჩეულთათვის, სპეტაკი ტემპერამენტის, წმიდა და მაღალი ზნეობისა და მოაზრე ადამიანთათვის.

დიახ! ქვეყნის სამსახურისთვის, წინა პირველათ მიუცილებლათ, საჭიროა ბუნებითი, თან დაყოლილი ტალანტი-ძლიერი ძალა და უმაღლესი მადლიც, რომელსაც ბუნება ყველგან ხელ მოჭერით იძლევა...

მარა... მარტო ბუნებრივს ტალანტსაც, ხალისთან ერთად, არ შეუძლია რაიმე თვალსაჩინო, მკვიდრი ნაყოფი შეძღვნას საზოგადოებას და დაიმსახუროს საქვეყნო ყურადღება. მარტო ბუნებრივი ტალანტი ვერ გახდის კაცს შესანიშნავ და სასარგებლო მოღვაწეთ, ვერ აიყვანს მას მაღალსა და პატიოსან, უწმიდესი მოქმედების ხარისხამდი. უკეთილშობილესი და თოვლივით სპეტაკი საერო მოქმედებისთვის ამ ქვეყნათ საჭიროა, უმეტესათ, „ღვთიური ნაპერწკალი", ესე იგი, ბუნებრივი, თან დაყოლილი მაღალი თვისებანი სულისა, მასთან გრძნობა — გონების და ზნეობის უპირატესობა ადამიანის არსებისა...

მკითხველს ვრცლათაც ვუჩვენეთ, მგონია, რომ აკაკის მაღალი თვისებანი სულისა მემკვიდრეობითაც ქონდა თან დაყოლილი...

ჩვენ გაკვრით გვქონდა აღნიშნული ნ. ბარათაშვილის წინათ ყოფილი ქართული პოეზიის ხასიათი. აქ დავუმატებთ, რო მუსიკალური მხარეც პოეზიისა, ქალების „ეშხით“ დამთვრალ მოშაირეთა მიერ სიმღერების თხზვა, არმონიულათ სიტყვების ასხმა და მეტრიკული სიშვენიერე ლექსთა ძველებურ ქართველ მგოსანთათვის წარმოადგენდა ერთს უმთავრეს და ძირითად მოთხოვნილებას, არა თუ მარტო ლექსების თხზვის დროს, უბრალო მუსაიფისა და დარბაისლური საუბრის დროსაც. ვინც ამ მოთხოვნილების დამცველი და გამახორციელებელი იყო, იგი მიიჩნდათ პირველ მჭევრ-მეტყველათ, შესანიშნავი სიტყვა- პასუხის გამომთქმელათ და უპირატეს მგოსნათაც, რომელსაც დიდი პატივი და სახელი ქონდა დამსახურებული მაშინდელ საზოგადოების უმაღლეს წრეებში. საგანი და შინაარსიც ამგვარ მგოსანთა პოეზიისა იყო ხორციელი სიყვარულისა და ტრფობის, ნამდვილი „ეშხის“ ლირიზმი, ლირიზმი ქალის ფიზიკური სილამაზით დატკბობის სურვილებზე და ვაშკაცობის, ლხენის აღტაცებულ შექებაზე გადამკვდარი. მთელი სპარსული პოეზიაც, რომელიც აძლევდა ტონს, შინაარსს და მიმართულებას მაშინდელ ქართულ საერო ლიტერატურას, შეიცავდა ამავე საგანთა გარშემო მუდმივს ტრიალსა და ალერსს. სულის გამაფაქიზებელი მარალური გრძნობანი, მაღალი ზნეობრივი შეხედულობანი ადამიანზე, გავითარებული, შეერთებული ფხიზელი აზრისა და ფიქრების წარმოდგენანი და იქვები სრულიათ უცნობ ხილს წარმოადგენდა ამ ღარიბსა და გამოცალიერებულს ლიტერატურის ესთეტიკის მიდამოებში. სხვა გვარი პოეზია იმ დროში წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან გარემოება არ უწყობდა ხელს, არა თუ აზიას, ევროპასაც კი...

მარა ნუ დავივიწყებთ, რო სპარსულ და ქართულ პოეზიის მიდამოებშიაც მოინახება, ვით ვრცელ და გადამხმარ ღუბნოში—ოაზისები, მეტათ ძვირფასი და მდიდარი მარგალიტები. და მთელი ქართული კლასიკური საერო ლიტერატურა წარმოგვიდგენს მხოლოთ ერად-ერთ მარგალიტს—„ვეფხის-ტყაოსანს“, რომელიც თვისი საერთო დედა-აზრით გაშორდა მაშინდელ გამოცალიერებულ ქართული ლიტერატურის ესთეტიკის ფარგალს, და მთელი ერის სულიერ აგებულებაზე დიდი ზედ-მოქმედება და ღრმა ჩაბეჭდილებაც მოახდინა. საიდან წარმოსკდა ასეთი ახალი და დიდათ ცხოველი ნაკადული? ქონდა მას სათავე და დასაბამი სადმე უცხო, თუ ჩვენი ერის საკუთარ ცხოვრებაში? ეს საგანი ამ ჟამათ ძნელი გადასაწყვეტია და ჩვენ სიფრთხილე და საკუთარი გამოცდილება ნებას არ გვაძლევს, სხვების ფეხის ხმას ავყვეთ. მხოლოთ ორი გარემოება-კი ნამდვილ ისტორიულ ფაკტათ უნდა მივიღოთ. ერთი, რო „ვეფხის-ტყაოსანი“ მაღლა ზე-ციდან არ მოევლინებოდა ქართველობას; მეორეც ისა, რო „სულ-მნათი“ რუსთველის შემდეგ, ამოდენ ისტორიის დრო-ჟამის მანძილზე, მხოლოთ და მარტო პოეტი დავით გურამიშვილის ქნარი შეეხო თვისი თანამედროვე ცხოვრების უბედურ ყოფას და, „ჟამთასიავეს“...

ახლა-კი, მთელი ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სამშობლო ლიტერატურის არე-მარეზე ჩვენ გრძნობა-გონებას იპყრობს მხოლოთ ორი დიდი ორიგინალური მგოსანი. ერთია.

„ჭკუით ურწმუნო, სულით უნდო...“

ნ. ბარათაშვილი და მეორე-აკაკი წერეთელი. აკაკის შესენიშნავი, ტურფა ლირიკა გამსჭვალულია მთელი ჩვენი ერის ცოცხალი მოტივებით. და იმისი ლექსთა ყვავილი იმიტომაც მოქმედობს ასე ძლიერათ—თითოულ ქართველზე და მის ესთეტიურ გრძნობებს ისე საუცხოვოთ აკმაყოფილებს, რომ აკაკი თვით წაგვგავს ქართველობას. განსაკუთრებული, ორიგინალური თვისება აკაკის ქნარისა ის არის, რომ იგი თავისებურათ, ნამდვილ აკაკისებურათ სულ სხვანაირი გულის აღტაცებით აერთებს, ახამებს ხოლმე თვისი საკუთარის და ჩვენი ერის ანგელოზურ, წმიდა ჭაბუკურ გრძნობათა გულ-წრფელობას, ალალ-მართლობას და მას-

თანვე ღრმა სკეპტიკურს, ბევრჯელ დამცინავის და მწარე ირონიით აღსავსე აზრის გამოხატულებას. აკაკი გახორციელებული, წმინდა აფრთოვანებული დიადი ივერიელის შესანიშნავი ტიპია, რომელიც მთელი თვისი არსებით ხატავს ჩვენი ერის მხნეობას, გმიროობას და ენტუზიაზმს.

მართლაც და, აკაკის პირადი ინდივიდუალური გრძნობანი, სურვილები, მისწრაფებანი, საზოგადოთ, მთელი იმისი სულიერი აგებულება, როგორც სარკე, ისე ხატავს მთელი ახალი ქართლოსიანთა ერის მაჯის ცემას, გულის ნადებს, მწუხარებას და აღტაცებას, სულიერ მხარეს, განურჩევლათ წოდებისა და სოციალური მდგომარეობის უსწორ-მასწორობისა...

აი, ეს იყო მე აკაკის ვუწოდე დიდი პოეტი და, ღრმათ დარწმუნებული ვარ, რო ჩემ რომელსამე კრიტიკანს ტუჩებზე უკმაროობის და დამცინავი ღიმილი დაეხატა. ამ ჩემ კრიტიკანს მე კარგათ ვიცნობ. იგია რუსეთის, ასე წოდებულ, „კრიტიკის“ დიდი თაყვანისმცემელი, რომელიც სალირიკო პოეზიაშიაც, როგორც ფილოსოფიურ მშრალს ტრაკტატებშიაც, მხოლოთ დიდ-დიდ, მყვირალა ფრაზებს და იდეებს ეძიებს. მაშინ, ბარემ, ავხსნი აქვე ჩემ აზრს მარტო... ამ ვაჟბატონისთვის.

მე ისეთს პოეტს ვუწვდებ დიდს, რომელმაც შეძრა ჩვენი სულის ქნარი, რომელიც თვისი პოეტური წარმოდგენის ცხოველ-მყოფელის ძალით გაშორდა პირად ვიწრო ინტერესების ფარგალს და თავის ნაწარმოებში, ხელოვნურათ დახატულ სურათებათ განახორციელა მთელი ერის მწუხარებაც და აღტაცებაც, სულის თქმა და გულის ძგერაც. დიდ პოეტს, მიუცილებლათ, ბევრისგან ბევრი რამ საერთო აქვს ჩვენთან, ვიდრე უბრალო მომაკვდავს. დიდი პოეტი მთელი ერის ჭირის და ლხინის თანაბრათ გამომხატველია:

„...ხან ტრედებრ აღმაფრენს მოწონებით,
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება;
მარა ყოველთვის თვის მოქმედებით,
ის მხოლოთ მამულს ემსახურება!

—

„ვერ შეაშინებს მას სოფლის ღელვა,
მხნეთ მიაცურებს იგი თვის წრფელ ნავს,
და, გზას უნათებს რა საღმრთო ელვა,
ის სიბნელიდან ნათლათ გამოყავს“. 1)

დიდი პოეტის პირადობა წარმოგვიდგენს შემკრებელობით ერთ გამოხატულებას ყველა სხვა დანარჩენ პირადობისას და გამოთქმისას. და, სწორეთ ამიტომაც, დიდი პოეტის ქნარი მუდამ მოახდენს ხოლმე საერთო ჩაბეჭდილებას ყოველ ადამიანზე, განსხვავებულიც რომ იყოს ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების ინდივიდუალური პირობანი... სულ ყოველიფერს რო თავი გავანებოთ, ჩემი კრიტიკანი, იმედია, იმაში მაინც დამეთანხმება, რომ აკაკის სალირიკო პოეზია ჩვენი ერის ცოცხალი მუსიკის მოტივებია და, სწორეთ ამიტომაც, ეს მოტივები მთელი ახლანდელი ქართველობის სასიმღერო პოეზია შეიქნა. მუსიკა ყველა ხელოვნების შორის გვირგვინია და აკაკიც უაღრესი ხელოვანია ამ სფეროში. აკაკის ლირიკა ერთიანი სიმღერაა. ეს ხომ ფაკტია და, წარმოიდგინეთ, აკაკი ამ მხრივ რუსთველს, არა თუ გაუთანასწორდა, წინ გაუსწრო კიდეც 2).

ხომლელი

შემდეგი იქნება.

ახლო აღმოსავლეთი*).

დარჩა განზე, სულ მარტოთ მარტო მხოლოთ ერთათ ერთი ინგლისი, რომლის გულის მოგება და დაახლოვება ორივე მხარეს-„სამთა კავშირსაც“ და, „ორთა კავშირსაც“ გულით ძალიან ენატრებოდა. მარა დიდათ დინჯი, ამაყი, ბრძენი, ძლიერი და, თუ გნებავთ, „ცბი-

1) იხ. ჩემი კრიტიკული წერილები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და იმისი დრო“. „კვალი“, 1896-7 წ.წ.

2) „პასუხი ჭალადიდელისადმი“, აკაკისა. იხ. პირველი ტომი.

*) იხ. „განთიადი“, № 9.

ერი (коварный) ალბიონი“ ყურათღებასაც არ აქცევდა არც ერთის, არც მეორის ქათინაურებს... დიდი ბრიტანია, რომლის ოდენი იმპერია, არც ტერიტორიის, არც მცხოვრებთა რაოდენობით ისტორიამ არ იცის და არც იცოდა როდისმე, სრულიათ დამშვიდებით უცქეროდა მომავალს. დიდი ბრიტანია სამხედრო ძალებითაც, ზღვაზე მაინც უძლიერესი იმპერიაა. სოფლიო ომიც რო ამტყდარიყო, დიდი ბრიტანიას ომის ორიღესაბლები ხელში მაგრათ ეჭირებოდა, რადგან იგი როგორც ზღვის ბატონი, გასაქან გზას არ მისცემდა იმ მხარეს, რომელსაც გადაუდგებოდა.*) ამასთანვე, როგორც ვიცით, ევროპის კაცობრიობა მიტანილის პურით საზრდოობს და, მაშასადამე, დიდ ბრიტანიას შეუძლია ზღვებზე გზების შეკვრით ერთი ფუთი პურიც არ მიაწოდოს ევროპის ხმელეთს და სულ ერთიანა ამოწყვიტოს შიმშილით ის მეომარი მხარე ევროპის კონტინენტისა, რომელსაც დაემუქრება. მაშასადამე, დიდი ბრიტანიის ინტერესი თხოულობს სრულიათ ცალკე, განსაკუთრებით ყოფილიყო და მაინც უშიშრათ და მშვიდათ ეწარმოებია თვისი საგარეო პოლიტიკა. ეს იშვიათი ისტორიული გარემოება იყო სწორეთ მიზეზი იმისა, რომ ამდენ ხანს დიდი მშვიდობიანობა და მყუდროება იყო ევროპაში და 1870 წელს აქეთ ევროპის მოქალაქეს დიდი განსაცდელი და უბედურობა თავზე არ დასტეხია.

ამ ბოლო დროს, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, როგორც გაზეთებში წერდენ, საფრანგეთ-რუსეთის კავშირს ინგლისიც შეუთანხმდა და, ამნაირათ, „სამთა-კავშირს“ მოყვა „სამთა-შეთანხმებაც“... მარა, წარმოიდგინეთ, დიდი ბრიტანიის პირველმა მინისტერმა-ასკვიტმა ხმა მაღლა, ყველას გასაგონათ ოფიციალურათ განაცხადა, რომ ინგლისი არავის არ ეხმარება, არც ჯარებს უგზანის ვისმე მისაშველებლათო... ამავე დროს, როცა გერმანია თავის ჯარს, ასორმოც და ათი-ათასი კაცით აძლიერებდა და საფრანგეთიც ჯარის კაცებს სამხედრო ბეგარის დროს უგრძელებდა, დიდი ბრიტანია ჯარების გაძლიერებლათ არავითარ ზომებს არ ღებულობდა და თავისთვის დამშვიდებულათ ცხოვრობდა...

1885 წელს ბულღარეთში ფილიპოპოლის რევოლიუცია მოხდა და ბულღარეთმა რუმელიის აღმოსავლეთი შემოიერთა. ამ გარემოებამ რუსეთსა და ბულღარეთს შორის დამოკიდებულება ძალიან გაამწვავა, რომელსაც მოყვა სერბიის ამხედრება ბულღარეთზე. ბულღარეთის მამაცმა მთავარმა, ალექსანდრე ბატენბერგმა საშინლათ დაამარცხა სლივნიცის მიდვრებზე სერბიის არმია, რისთვისაც ალექსანდრე ბატენბერგს ისტორიაში სლივნიცის გმირი უწოდეს. რუსეთმა მაინც მოითხოვა ალექსანდრე ბატენბერგი ბულღარეთის ტახტს გამოთხოვებოდა სამუდამოთ, რადგან იგი მიაჩდა რუსეთს ფილიპოპოლის რევოლიუციის უმთავრეს მიზეზათ. ალექსანდრე ბატენბერგი გაეცალა ბულღარეთს და რუსეთმა იმ წამსვე ღენერალი კაულბარსი გაგზავნა ბულღარეთში. მარა ბულღარებმა იგი არ მიიღეს და ყოველგან—საერო კრებაზე, პრესაში და პოლიტიკურ მიტინგებზეც აშკარათ და საქვეყნოთ გმობდენ რუსეთის პოლიტიკას. სხვებს რო თავი გავანებოთ, ძველი რუსული და სლავიანოფილების მიმართულებასაც, მე

*) ეს აზრი შეასუსტა დღეინდელმა სოფლიო ომმა, როცა ინგლისის სამხედრო და სავაჭრო გემებს გერმანიის წყალქვეშ მცურავმა ნავებმა შიშის ზარი თავს დასცეს. ავტორი.

შემიძლია აქ დავასახელო ჟურნალი „Сѣверный Вѣстникъ“-ი, სადაც თანამშრომლობდენ მაშინდელი, რუსების ლიბერალნი და რადიკალი-„ნაროდნიკი“ მწერალნი, ნიკ. მიხაილოვსკი, იუჟაკოვი და სხვები. იუჟაკოვი ამ ჟურნალში ათავსებდა იმ დროს წერილებს ამ სათაურით: **„უცხოეთის მიმოხილვა“**, სადაც პირდაპირ ამბობდა, რო ბულღარეთი სრულიათ ჩვენ უნდა შამოვიერთოთო და რუსეთის გუბერნიათ ვაქციოთო, ან დიდი-დიდი, ისეთი ავტონომია მივანიჭოთ, როგორც მაგალითად, ფინლიანდიასო...

რუსეთმა გათავისუფლებულ ბულღარეთის მთავრის ტახტზე კანდიდატათ მაშინვე წამოაყენა უგანათლებულესი თავადი ნიკოდადიანი-მინგრელსკი. მარა სტეფანე სტამბულოვის ორგანომ „თავისუფლებამ“ პირდაპირ საქვეყნოთ განაცხადა, რო ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთს თავადს მთავრათ არ ავირჩევთო. ბულღარეთის საერო კრებამ მთავრათ აირჩია ავსტრი-უნგარეთის კანდიდატი, პრინცი ფერდინანდ კობურგელი. ყველა დიდმა, პირველ ხარისხოვანმა სახელმწიფომ, რასაკვირველია, იმწამსვე აღიარა საერო კრების მიერ არჩეული პრინცი ფერდინანდი ბულღარეთის მთავრათ. ამნაირათ, პრინცი ფერდინანდი, უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებული, ბუნების მეტყველი და დიდათ ნიჭიერი, სულ ახალგაზდა კაცი შეიქნა მთავარი ბულღარეთისა. მარა რუსეთის მთავრობა იმას მთავრათ არ ცნობდა ალექსანდრე III ხელმწიფობის დროს და რუსეთის პრესაც მუდამ პრინცს უწოდებდა მას...

როცა რუსეთის ახლანდელი იმპერატორი, ნიკოლოზ II ტახტზე აპძანდა, ფერდინანდმა თვისი უფროსი ვაჟი, ბულღარეთის ტახტის მემკვიდრე, ბორისი მართლმადიდებელთა წესზე მონათლა და ნათლიადაც რუსეთის ხელმწიფე შეიქნა. მასაქით ფერდინანდი რუსეთმაც ოფიციალურათ მთავრათ აღიარა და ბულღარეთის პოლიტიკური ცხოვრებაც ჩადგა ნორმალურ კალაპოტში...

ფერდინანდ კობერგელის მთავრობა გათავისუფლებულ დემოკრატულ ბულღარეთს მკვდრეთით აღმდგენელ სასწაულათ მოევლინა. ქვეყანა ნივთიერათ აყვავდა, გამდიდრდა და კულტურულათ ძლიერი ნაბიჯები წადგა წინ. მთელი ბულღარეთი რკინის გზებით დაისერა, მეურნობა, ვაჭრობა და მრეწველობა გაჩაღდა, მთელი ერი წელში გაიმართა და განათლდა, უმაღლესი, საშვალი და დაბალი ტიპის სასწავლებლებით მოიფინა. *) ბულღარეთის არმიამ ამ უკანასკნელ ოსმალებთან ომში, ისე გააკვირვა მთელი ქვეყნიერობა, რომ იმის მთავარ სარდალს გენერალს სავოვს სპეციალისტები პირ და პირ მოლტკეს ადარებდენ. ამ სამი წლის წინათ, ბულღარეთის მთავარმა, დიდათ ნიჭიერმა ფერდინანდმა, ისე წაიყვანა საქმე, რომ იგი მეფეთაც (კოროლათ) იქნა აღიარებული და ბულღარეთი დღეს ძლიერ სამეფოს წარმოადგენს...

(შემდეგი იქნება).

გულკეთილი.

---

*) საკვირველია, რო ჩვენში არავინ გამოჩდა ისეთი, რომელსაც დაწვრილებით აეწერა ბულღარეთის წასული და ახლანდელი მდგომარეობა. ავტ.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში*).

ნიკორწმინდის ტაძრის კედელზე არის ამნაირი წარწერა:

№ 1 [1]) „ქ. წო ნკზ მეხ
ე მეფს გს მის
ᲭᲨᲘ ავნე ნიკო
წმიდელმან ᲡᲨᲓᲔ“

ბროსე ამ წარწერას კითხულობს ამ ნაირათ: „წმ. ნიკოლაოზ მეოხ ეყავ მეფესა გიორგის, მის დროს აღვაშენე ᲭᲨᲘ მე ნიკოწმიდელმან ᲡᲨᲓᲔ“ და დასძენს, რო სიტყვა „ᲭᲨᲘ“ და ნიკოწმიდელის სახელი „ᲡᲨᲓᲔ“ მისთვის დარჩა გაუგებრათ.[2])

ჩემის აზრით, „ᲭᲨᲘ“ წარწერისა უნდა ნიშნავდეს ᲭᲔᲚᲘᲨᲘ, რომელიც აღუშენებია ნიკოწმიდელს „ᲡᲨᲓᲔᲡ“[3]) გიორგი მეფის დროს. მარა საქმე ის არის, რომელი გიორგი იგულისხმება ამ წარწერაში და, როდის ცხოვრობდა იგი? რადგანც ეს ხუცური წარწერა ამოჭრილია კედლის ქვაზე, ამ წარწერის მეფე გიორგი უნდა იყოს შვილი ნიკოწმიდის ტაძრის აღმაშენებელი ბაგრატ IV ისა. ეს გიორგი იხსენება მეორე ხუცურ წარწერაშიაც ნიკოწმიდის ტაძრის შესავალ კარების ზევით. წარწერა ამნაირი შინაარსისაა:

№ 2. „ქ. ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვრ გვნოსანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე, და ქართველთ კურატპალატი, და გაზარდე ძე მათი გიორგი.... ნებასა შინა შენსა, მეოხებითა წმიდისა მღვდელთ მოძღვრისა ნიკოლოზისათა“[4]).

გიორგი, ძე ბაგრატისა, მეფობდა 1072 წლიდან 1089 წლამდი და, თუ ჩემი მოსაზრება მისაღები გამოდგა, ᲭᲔᲚᲘᲨᲘᲡ უდაბნოს დაარსება უნდა მიეწეროს მე XI საუკუნის მეორე ნახევარს. იმას ადასტურებს ერთი ძველი პერგამენტზე ნაწერი სახარების მინაწერებიც. თუმცა სახარება უთარიღოა, მარა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, გადაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს მე XI-XII საუკუნისა. ეს ᲭᲔᲚᲘᲨᲘᲡ ძველი სახარება ახლა შეადგენს ხონᲭᲘᲝᲠᲘᲡ ღვთის მშობლის ეკლესიის კუთვნილებას[5]).

ახლანდელი სამონასტრო ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უადრეს მე XAIII საუკუნისა. სამონასტრო ქონებათა აღწერილობაში ეკლესიის შესახებ მიწერილია ამნაირი შენიშვნა:

№ 3. „ეკლესიის აშენების შესახებ არ არის არავითარი ცნობები გარდა იმისა, რო, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ის აღუშენებია თავად პაატა წულუკიძეს“.[6]).

სიტყვა „აღდგენა“ ამ მინაწერში, ჩემის აზრით, უნდა გულისხმობდეს აწინდელი ეკლესიის ძველის ნანგრევებზე ახლათ აშენებას. ძველი ტაძარი-კი, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, დაუქცევიათ ოსმალებს ერთ მათგან რაჭის მხარის აოხრების დროს.

---

*) იხ. „განთიადი“, № 3.

№ 1) წარწერებს და მინაწერებს აღვნიშნავ №№-თ, რო შესაძლებელი იქნეს მათი ადვილათ სარგებლობა.

[2]) Brossef Rap. XII, 59.

[3]) ძნელი გამოსაცნობია ამ ნიკოწმიდელის სახელი, შეიძლება შეცთომითაც იყოს ამოკითხული.

4) Brossef Rap. XII, 55.

[5]) ს. ხონᲭᲘᲝᲠᲘ ᲭᲔᲚᲘᲨᲘᲓᲐᲜ ოთხ ვერსზე ძევს. ამ სახარებაზე ჩემს შენიშვნებს მოვათავსებ ქვემოთ ხონᲭᲘᲝᲠᲘᲡ სიძველეთა აღწერის დროს.

[6]) მონასტრის არქივი 1879 წ.

ერთი ნაწილი ძველი ტაძრის საძირკვლისა ახლაც მოჩანს და, როგორც ეტყობა, ძველი ტაძარი გაცილებით უფრო დიდი ყოფილა ახლანდელ ეკლესიაზე. დარჩენილია რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა, რაც ამოწმებს დანგრეული ტაძრის ხუროთ მოძღვრულ სიშვენიერეს. ყველა ამას ხალხში დარჩენილი გადმოცემა უმატებს, რო ჭელიშის ტაძარი იყო გუმბათიანი.

არა გვაქვს პირდაპირი საბუთი ვუჩვენოთ დრო ოსმალთაგან ჭელიშის მონასტრის დარბევისა და ძველის ეკლესიის დაქცევისა. მარა, ჩემის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო მე XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ აზრის გასამარლებლათ საჭიროა წარმოვიდგინოთ ის მდგმარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა დასავლეთი საქართველო მოხსენებული საუკუნის განმავლობაში.

დასავლეთ-საქართველოს ისტორიული ცხოვრება მე XVII-XAIII საუკ. განმავლობაში მეტათ უნუგეშო და აუტანელი იყო. ძლიერი მტრები მოსვენებას არ აძლევდენ მას. შინაც გამუდმებული არეულება და უთანხმოება სუფევდა მეფე-მთავართა და მძლავრ თეოდალთა შორის. უმთავრესი ტალღა მტრებისა მომდინარობდა შავი ზღვის ანატოლიის ნაპირებიდან. ტრაპიზონის დამორჩილების შემდეგ, რაც მოხდა 1462 წელს, ოსმალები გადიქცენ იმერეთისთვის საშიშ მტრებათ. ამ დროიდან დაშორდა საქართველოს ტრაპიზონის მხარე, დასახლებული მეგრელებით (ლაზები). ამის შემდეგ, ოსმალებმა დაუწყეს დამორჩილება საქართველოს საუკეთესო ნაწილს—საათაბაგოს და 1587 წელს კიდევაც საბოლოოთ დაეპატრონენ მთელ მხარეს და დაუწყეს ძალით გამამადიანება[1]). ოსმალ-სპარსელების ცდა, საბოლოოთ დაიპყრონ საქართველო, გათავდა უკანასკნელის გაყოფით 1636 წლის ტრაკტატით. სპარსეთს ერგო აღმოსავლეთი საქართველო, ხოლო ოსმალეთს-დასავლეთი (იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი) და საათაბაგო (აწინდელი ახალციხის, არდაგანის, ბათომის, ოლთის და ართვინის მაზრები).

მე XVII საუკ. პირველ ნახევარში ათაბაგები იღებენ მამადიანობას[2]), რის შემდეგაც ისინი, როგორც მმართველნი ოსმალეთის პროვინციისა, ხდებიან მის ინტერესების დამცველათ. მამადიანთა დროშის ქვეშ, ისინი წარმოადგენენ მუდმივ და შეურიგებელ მტრებს თვისი მოძმეებისას და ებმიან გამუდმებულ ომებში იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან. ოსმალები მკვიდრდებიან ჩრდილო--დასავლეთის შავი ზღვის ნაპირებზე, აშენებენ ციხე-სიმაგრეებს ფოთში, ანაკლიაში [3]), სოხუმში და ბათომში და ამ პუნკტებიდან არ აძლევენ მოსვენებას ქრისტიან ხალხს. აქედანვე იწყებენ ვაჭრობას ქრისტიან ტყვეებით. იმორჩილებენ აფხაზეთს [1]), რომლის მთავრები უკვე მათი მომხრენი არიან და არამც თუ წინააღმდეგობას არ უწევენ, პირიქით ეხმარებიან მათ სამეგრელო-იმერეთის წინააღმდეგ.

იმერეთის სამუდამოთ დამორჩილების გასაადვილებლათ ოსმალნი ცდილობენ, რომ უთანახოება გამოულეველი ყოფილიყო იქაურ

---

[1]) ქარ. Ცხ. II, 163-176.

[2]) Ibid. 167.

[3]) ibid 227.

[1]). აფხაზეთი გაგრამდის მე XVII საუკუნემდი დასახლებული იყო მეგრელებით, რომელთაც აფხაზ-ჯიქების მოწოლილ ტალღამ თან და თან დააწევინა კილასურა, კოდორი და შემდეგ მდ. ღალიძგამდი. დარჩენილი მეგრელები აირევნენ აფხაზ-ჯიქებთან და შეითვისეს მათი ენა. ამის გამო აწინდელი აფხაზები, უმეტეს ნაწილათ **გააფხაზებული მეგრელებათ** უნდა ჩავთვალოთ, რასაც ასაბუთებს ბ. თ. ყორდანიაც (ყურ. „განთიადი“ № 1, გვ. 261, სხოლიო). გავბედავ და მეტსაც ვიტყვი. გაგრის იქიდან გადმოსული ხალხი, ჩემის აზრით, აფხაზები არ იყვენ, **არ**ამედ ჯიქები. აფხაზებათ იწოდებოდენ აწინდელ აფხაზეთში მოსახლე მეგრელები. მაშასადამე, აფხაზები ჯიქებთან არეული მეგრელები, იგივე ძველი მეგრულათ მოლაპარაკე აფხაზები უნდა იყვენ. მხოლოთ ჯიქებთან შერევიო ენა გამოეცვალათ. **აფხაზები ერთი შტოთაგანი იყვენ მეგრელებისა.** ამის საბუთები, იმედი მაქვს, სხვა დროს წარმოვადგინო.

ავტ.

მეფე-მთავართა შორის. ხან ერთს ეხმარებიან, ხან —მეორეს. სხვა და სხვა დაპირება-საჩუქრებით მეფე-მთავართა საწინააღმდეგოთ ამხედრებენ მათ გავლენიან და მძლავრ ქვეშევრდომებს და აოხრებიებენ საკუთარ სამშობლო მხარეს. ამ ნაირი პოლიტიკის შედეგი იყო ის გარემოება, რომ იმერეთის მეფე-მთავრებს შორის სუფევდა განუწყვეტელი მტრობა, შუღლი და ერთმანეთის რბევა. ამით სარგებლობდა ოსმალეთი, ერეოდა შინაურ მართვა-გამგეობის საქმეშიაც და ურჩთა წინააღმდეგ ილაშქრებდა დასამორჩილებლათ. იმერეთის სამეფო, განუწყვეტელ ომების გამო, მთავრებთან,-განსაკუთრებით სამეგრელოს მთავრის ლევან II თან, უკიდურესათ დასუსტებულ-დაუძლურებული იყო. ტახტის მეძიებელთა რიცხვი თან და თან მრავლდებოდა, რის გამოც სამეფო ტახტი გადადიოდა, ხან ერთის, ხან მეორე მაძიებლის ხელში. 1662 წლიდან დაწყებული 66 წლის განმავლობაში იმერეთში მოხდა 29 პოლიტიკური ცვლილება, რის გამო ხალხის კეთილ-დღეობას ბოლო მოეღო და იმერეთის მკვიდრი უკიდურესათ გაღატაკდა[2]) ოსმალეთა გავლენის გამო, დასავლეთ საქართველოში ძალიან შესუსტდა სარწმუნოება და კეთილი ზნე ჩვეულება. ტყვეების ყიდვა, სამშობლოს ორგულობა, ძმათა შორის მტრობა, ქორწინების სიწმიდის შელახვა, წინააღმდეგობა და დარღვევა საეკლესიო და საერო კანონებისა, სხვის ქონებათა შესახებ უფლების დარღვევა, ცარცვა-გლეჯა, სისასტიკე,-შეღბრალებლობა, ამბოხება და სხ. იმ საშინელ დროს ჩვეულებრივ მოვლინებათ ითვლებოდა. რამდენათ დაეცა მაშინ ქართველთა შორის სამშობლოს სიყვარული და პაივისცემა, ნათლად ჩანს იმ სამწუხარო მოვლინებიდან, რო თვისი პირადი ინტერესების დასაცველათ თვითონ წინ უძღოდენ ოსმალეთის ჯარებს, შემოყავდათ სამშობლოში და აძლევდენ მათ საშვალებას დამკვიდრებულ იყვენ იმერეთში. გამცემლების მეოხებით შემოვიდენ ოსმალნი და გამაგრდენ ქუთაისის ციხეში. ამნაირ გარემოებათა წყალობით, მე XᲐᲘ საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებს მიეცათ საშვალება შესვლისა და დარბევისა იმ ნაირ მიუდგომელ ადგილებისაკკი, როგორ იყო რაჭის საერისთავო.

[2]) ქ. Ცხ. II, 199-230.

იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე (1639-1660) თვისი მეფობის უკანასკნელ ხანებში გაეყარა კანონიერ მეუღლეს და შეირთო მეფე თეიმურაზის ასული, დარეჯანი. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, იმერეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი ბაგრატი. დარეჯანი მოწადინებული იყო იმერეთის სამეფო საქმეებში გავლენა ქონებოდა და ამისთვის ბაგრატს შერთო ცოლად თვისი ძმის წული, ქეთევანი. მარა, როდესაც დაინახა რო მეფე მას არ ემორჩილება და დამოუკიდებლათ მართავს სამეფოს, დარეჯანმა მის საწინააღმდეგოთ დაიწყო მოქმედება. დააბრმავა ბაგრატი, ჩამოაგდო იგი სამეფო ტახტიდან, თვითონ შეირთო ვილაც ბაგრატ, ჭუჭუნიაშვილათ წოდებული, და გამოაცხადა იგი მეფეთ.[1]) 1661 წელს იმერეთში შემოვიდა ქართლის მეფე ვახტანგი, წაართვა ქუჭუნიაშვილს მეფობა და გაამეფა თვისი შვილი, არჩილი. ორი წლის მეფობის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობის ძალ დატანების გამო, არჩილი იძულებული გახდა დაენებებია ტახტი ბაგრატისთვის [2]). ამ ხანათ ბაგრატმა იმეფა ხუთი წელიწადი. დარეჯანმა მოიყიდა ასლან ფაშა, ოსმალთა ჯარის შემწეობით ჩამოაგდო ბაგრატი და გაამეფა თვისი ქმარი. მარა მალე ორივენი მოკლულ იქნენ[3]). მათ შემდეგ, ცოტა ხანი მეფობდა დე-

[1]) Ibid. 202.

[2]) Ibid. 203.

[3]) მათ საწინააღმდეგოთ პირობა შეკრეს სეხნია ჩხეიძემ და ხოსია ახვლედიანმა (პარიზის ქრონიკა, ან ცხოვრება საქართველოისა და დიდი მოურავის ამბები, გამ. ჭიჭინაძისა. თფ. 1903 წ. გვ. 69). მკვლელი ხოსია ახვლედიანი, — ერისთავი ლეჩხუმის და სვანეთის ერთი ნაწილისა—იყო დარეჯანთან დაახლებული. მკვლელობა ჩაიდინა იმერლების თხოვნით, რო გამოეხსნა სამეფო დარეჯანის ᲒᲑიერებისგან (ქარ. ცხ. II. 205). ხოსია ახვლედიანი იხსენიება სვანეთის წარწერებში (გაზ. „ივერია 1903 წ. № 232 და Путешествіе Д. Бакрадзе по сванетіи გვ. 118). ქართლის ცხოვრებით, ხოსია იყო ლასხიშვილი (II, 205), ბრო-

მეტრე გურიელი, რომლის შემდეგ გამეფდა ისევ ბაგრატი.[1]) 1678 წ. სამეგრელოს მთავარმა ლიევან III-მ ჩამოაგდო ტახტიდან ბაგრატ მეფე და გაამეფა ისევ არჩილი. ბაგრატი გაიქცა გურიაში და იქიდან თხოვა შემწეობა ასლანფაშას. ასლანმა მოახსენა ამაზე სულთანს, რომელმაც უბძანა ერზერუმის ფაშას შესეოდა ჯარით იმერეთს და მოეწესრიგებია იქაური საქმეები. ოსმალეთის ჯარს შეუერთდა გურიის მთავარიც. არჩილი იძულებული გახდა შეფარებოდა რაჭას. ოსმალები გამოუდგენ მასდა ააოხრეს რაჭა. ეს მოხდა 1679 წელს. [2]) ქართლის ცხოვრების თქმით, ასლან-ფაშა თავის მოქმედებაში იმერეთისა და არჩილის საწინააღმდეგოთ ხელმძღვანელობდა პირადი ინტერესებით და იღებდა ქრთამებს ხონთქრის სახელით. როდესაც ეს ეუწყა ხონთქარს ერზერუმის ფაშასგან, მან უბძანა ამ უკანასკნელს ასლან-ფაშისთვის მოეკვეთათ თავი, რაც ასრულებულ იქნა რაჭის სოფელ კვაცხუთში [3]).

შემდეგი დროის ისტორიის აღწერას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით, რადგან განსაზღრულ მიზნის მისაღწევათ ნათქვამიც საკმარისია. თუ ხალხში დარჩენილ თქმულებას აქვს რამე ისტორიული საფუძველი, ჭელიშის დარბევა და მისი ტაძრის დანგრევა ოსმალთაგან უნდა მომხდარიყო ამ ერზერუმის ფაშის ჯარით შესევის დროს. იმის ასახსნელათ, თუ რისთვის განურისხდენ ოსმალნი ჭელიშის უდაბნოს, როდესაც ნიკორწმიდის დიდებულ ტაძარს არ

[1]) ქარ. ცხ II, 204 და 205.

[2]) Ibid. გვ. 206 და 207.

[3]) Ibid . გვ 171 და 207.

სე-კი ხოსიას აკუთნებს ორივე გვარს და იხსენიებს ახვლედიან-ლასხიშვილათ (ბროსე, საქ. ისტორია, ნაწ. II, გვ. 202). ბროსეს ამ ისტორიულ შრომის მთარგმნელის აზრით, ხოსიას ნამდვილი გვარი არის ლასხიშვილი, ხოლო გვარი ახვლედიანის მისაკუთრება შეცდომით უნდა მოსვლოდეს მწერალს, როგორც lapsus calami (Ibidem, სხოლიო). რო ბროსეს მხრით ეს lapsus calami არ არის, ნათლათ ჩანს ზემო ნაჩვენებ პარიზის ქრონიკის ადგილიდან, სადაც ხოსია მოხსენებულია ახვლედიანის გვარით.

შეხებიან, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოსმალთაგან დევნულ არჩილ მეფემ პირველათ შეაფარა თავი თვისი ჭელიშის მონასტრის მაგარ და მიუვალ ადგილებს.

თუმცა ქარ. ცხოვრებაში მოხსენებულია კიდევ რამდენიმე შესევა რაჭაში ოსმალების ჯარით მე VVIII საუკ. პირველ ნახევარში[4]) მარა ამათ არ ქონიათ იმისთანა გამანადგურებელი ხასიათი, როგორიც ქონდა პირველს, [5]) რო შესაძლებელი იყოს მივაწეროთ ჭელიშის აოხრება ამ უკანასკნელ დროს. არც ასლანის რაჭაში შესვლის წინა დროებს შეიძლება მივაწეროთ ჭელიშის აოხრება, რადგან, როგორც გორგიჯანიძე მოწმობს, ამ 1679 წლამდის რაჭა ,, მის დღეში არავისგან დარბეულ იყო[1])''

მართალია, ხშირათ იმერეთის მეფეებიც არბევდენ ამ მხარეს, რადგან რაჭის ერისთავები მუდამჟამ ორგულნი იყვენ და არ ემორჩილებოდენ მათ,-თუმცა მათი სისასტიკე თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა ოსმალ-

4) Ibid. გვ. 223, 231, 252 და 254.

[1]) ქარ. Ცხ. ii, 549.

[5]) აი, რა სიტყვებით ასწერს და ახასიათებს მემატიანე პირველ შესევას! „არჩილ-მეფე წავიდა რაჭას და რაჭველთა შეკრეს მთა. მიყვენ ოსმალნი არჩილს. მაშინ ხრეითს მთასა ზედა უწყეს რაჭველთა Ცემა თოფთა ჯიხურებთ გამო ოსმალთა და მოკლეს საზვერელი ჩიჯავა ძე და სხვანი მრავალნი და უმეტეს ოსმალნი მოსწყვიტეს. არამედ სიმრავლითა სძლიეს ოსმალთავე, გარდვიდენ რაჭას, **მოსწვეს, მოსტყვევნნეს უკმოიძCენდა დახდგენ კვახპირს** „(ქ. Ცხ. II, 207). შემდეგი შესევა მოხდა 1721 წ., როდესაც აღაოხრეს ლეჩხმი, მარა მაშინ რაჭისთვის ზიანი არ მიუCიათ. ქარ. Ცხოვრება მოგვითხრობს ამაზე:,,...მერმე უკმოიქCენ, გამოვლეს კვალად რაჭა და მოვიდენ ქუთაისს ,,(ibid. 230). ამ სიტყვებიდან ჩანს, რო მაშინ რაჭა მხოლოდ გზათ გაუვლიათ და მათი მიზანი არ ყოფილა მისი დარბევა. რაC შეეხება ოსმალ-ლეკების ჯარის შემოსვლას რაჭაში მე XIII საუკ. დამლევს, ეს არ იყო მათი დამოუკიდებელი შემოსევა, არამედ მოწვეული იყვენ წულუკიძე-წერეთლებისგან იმერეთის მეფის წინააღმდეგ. (ბუტკოვი: ,,Матеріалы для новой исторіи Кавказа. ნაწ II, 190 და III, გვ. 196) და, რასაკვირველია, უკანასკნელნი მათ არ მისCემდათ ნებას დაექCიათ ტაძარი ღვთისა. ამის გარდა, ისიC უნდა ვთქვათ, რომ ეს შემოსევა არ უდგება ჭელიშის ტაძრის დანგრევის დროს, ვინაიდან ამ დროს აქ უკვე ხელახლა აღორძინებული იყო მონაზნობრივი Ცხოვრება და არსებობდა ახლანდელი ეკლესია ძველი ტაძრის ნანგრევებზე აშენებული.

თა შეუბრალებლობას [2]). მარა არას გზით არ შეიძლება იმერეთის მეფეებს მივაწეროთ ჭელიშის უდაბნოს დარბევა. წარმოუდგენელია, რო ქრისტიან-იმერლები შეხებოდენ ტაძრებს და მონასტრებს. მათ სასოება დიდი ქონდათ, თუმცა, როგორც ზევითაც მოვიხსენეთ, ამ დროს ზნეობრივათ ხალხი ძალიან ჩამოქვეითებული იყო. ეს იყო დრო, როდესაც ხალხის ცხოვრებაში ცარცვა-გლეჯა, ტყვეთა ყიდვა, გამცემლობა, სამშობლოს ღალატი, საეკლესიო და საერო კანონების არაფრათ ჩაგდება და მრავალი სხვა ამგვარი მოვლენებანი ურიგდებოდენ ხალხის ღრმა სარწმუნოებას, ეკლესია-მონასტრების ღრმა პატივისცემას. მაშინდელი ქართველი, განსაკუთრებით მაღალი წრისა, მიუტევებელ ცოდვის ჩამდენი, დარწმუნებული იყო, რო მას მიეტევება ყოველი შეცოდება, რამდენადაც დიდი და პასუხსაგებელი უნდა ყოფილიყო იგი, თუ ეკლესიის პატივისცემას გამოიჩენდა, მიიტანდა შესაწირავს და შეამკობდი ხატებს და ჯვრებს [1]). არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ცხოვრობდა სამეგრელოში XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ამბობს, რო მეგრელები „თვით სარწმუნოებას უფრო უღალატებენ“, ვიდრე ეკლესიის შეურაცყოფას დასტოვებენ დაუსჯელათ 2) და ამის დამასაბუთებელი მაგალითიც მოაქვს: როოესაც ლევან დადიანის და მის მეზობელ აფხაზეთის მთავრის შვა უკმაყოფილება ჩამოვარდა, ეს უკანასკნელი სამაგიეროს გადასახდელათ მის საზღვარზე ჯარით მივიდა და რამდენიმე სოფელი გადაწვა. ცეცხლი უცაბედათ ერთ უმთავრეს ეკლესიასაც მოედვა და დააზიანა. „წინდახედული დადიანი ისე მოიქცა, თითქოს არც-კი შეეტყოს ეს ამბავი, თუმცა მეტათ გაბრაზებული იყო და მტკიცეთ გადაწყვეტილი ქონდა, რო თავის დროზე სამაგიეროს გადავახთევინებ და ასეთ დანაშაულობისთვის უსათუოდ ღირსეულ სასჯელს მიუზღავო“. მორიგების დროს, აფხაზეთის მთავარი არ ენდო, მოსალაპარაკებლათ დადიანის სამთავროში შესვლა ვერ გაბედა და მოითხოვა ამანათები თვისი უზრუნველ საყოფელათ. დადიანმა დაუყონებლივ გაუგზანა ამანათებათ ოდიშის უდიდებულესთა სამი ახალგაზდა ვაჟი. მიუხედავათ ამისა, შედგა თუ არა ოდიშის საზღვრებში ფეხი, აფხაზეთის მთავარი თვისი ამალით მაშინვე დაატუსაღეს და გაასამართლეს. „დადიანმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც გამოაცხადა, რო შეუძლებელია პირობა შეუსრულოს კაცმა ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეურაცყვეს ღმერთი თავის სახლშიო“. ამის გამო, თუმცა ეკლესიის დაზიანება უცაბედათ მოხდა, მარა მაინც აფხაზეთის მთავარს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და თავი მოკვეთეს, ხოლო მისი ამალა გაათავისუფლეს [3]). ასე უყურებდა იმ დროს ხალხი ეკლესიას და მასში დაცულ სიწმიდეებს და, რასაკვირველია, არ შეიძლება მივაწეროთ ჭელიშის აოხრება ქრისტიან მეფეს და მის მხედრობას.

ამნაირათ, ზემონათქვამიდან ძალა უნებურათ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდი, რო ძველი ჭელიშის სამონასტრო ტაძარი დაქცეულ იქნა 1679 წელს ოსალთა რაჭაში შესევის დროს. ახლა კითხვა ის არის, როდის არის აშენებული აწინდელი სამონასტრო ეკლესია და ვინ არის ის პაატა წულუკიძე, რომელსაც აწერენ მის აშენებას?

არ არის ცნობილი, რა დროიდან მკვიდრობენ წულუკიძენი რაჭაში. ერთ სიგელ-

---

[2]) იმერეთის მეფეთა რაჭისკენ გამხედრებათაგან მემატიანე განსაკუთრებულ ყურათღებას აქცევს ორს: ერთს, რომელიც მოხდა იმერეთის მეფე ალექსანდრე IV დროს (ქარ. ცხ. II, 210-211), ხოლო მეორეს-მეფე ალექსანდრე V დროს 1725-1726 წწ. (Ibid. 231). ალექსანდრე VI გამხედრების მიზეზი იყო ის გარემოება, რო მას ქართლის მეფე გიორგიმ უარი უთხრა თავის ქალიშვილის მითხოვებაზე. გიორგი მეფე ამ-დროს სტუმრათ იყო რაჭაში პაპუნა ერისთავთან. ალექსანდრემ ააოხრა რაჭა, მისდია მეფეს და ერისთავს უწერამდის, რომელსაც არ ასცდა აოხრება და დარბევა. ეს მოხდა 1687 წ. (ხ. 200-1). ალექსანდრე V—გალაშქრების მიზანი იყო შოშიტა, რაჭის ერისთავის, და ბეჟან დადიანის დასჯა. მატიანეს თქმით, ალექსანდრე მეფემ და მისმა ჯარმა მოსწვეს საწულიკიძო, ვინაიდან იყო ერისთავის კერძოთ..... შევიდენ სივამდი, შემუსრეს კოშკნი მისნი, მოსწვეს რაჭა და მოსტყვევნეს'' (Ibid. 231).

[1]) ამას ამოწმებს წარწერანი იმ დროის ხატებზე,-განსაკუთრებით-კი-წარწერანი ილორის ეკლესიაში დაცულ ხატებზე.

[2]) არქან. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი ალ. ჭყონიისი გვ. 80.

[3]) Ibid. გვ. 80-81.

იდან, რომელიც 1454 წ. მიუცია მეფე გიორგის ვირშელ წულუკიძისთვის, ჩანს რომ მის დროს წულუკიძეები უკვე იყვენ რაჭაში. ამ ვირშელის წინაპრები დახოცილან სამშობლოს და მეფეთა სამსახურში. როგორც ბ. თ. ჟორდანია ფიქრობს, ეს უნდა მომხდარიყო თამერლანის შემოსევის დროს. წულუკიძეებს იმ დროს, როდესაც შედგენილია სიგელი, ეკუთნოდათ სოფ. იწა, რომელსაც სულ ახლა უმტკიცებს მათ მეფე გიორგი [1]). ბოჩკაროვის თქმით, ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ წულუკიძეთა წინაპარნი გადმოსულან საქართველოში კაბარდოდან [2]). როგორც ბუტკოვი გვარწმუნებს. წულუკიძეებს მე XVIII საუკუნეში ძალიანი პატივისცემა და გავლენა ქონდათ დამსახურებული რაჭა იმერეთში [3]). ერთ დროს მათ ეკუთნოდათ მთელი ქვემო რაჭა ხიდის კარიდან იმერეთის საზღვრებამდი. ს. აგარის ეკლესიის ერთი ხატის წარწერიდან ვტყობილობთ, რომ ამ დროს მათვე ეკუთნოდათ ჭრებალო, ზოგიში და ოკრიბის ნაწილი. უმთავრესი მათი რეზინდეციები იყო ხოტევში [4]), ჭედის უბანში და პატარა ონში. ამ ადგილებში ახლაც არის ნანგრევები მათი საგვარეულო ციხე-კოშკებისა.

რაჭის ერისთავები ვერ ურიგდებოდენ წულუკიძის გვარეულობის გაძლიერებას და განუწყვეტელი მტრობა ქონდათ მასთან, როგორც მათთვის საშიშარ მეტოქესთან. ერთ ხანს კიდევაც სძლიეს წულუკიძეებს, განდევნეს რაჭის საერისთაოდან და მათ საპატონო ადგილებს თვითონ დაეპატრონენ. მარა ამნაირი მდგომარეობა წულუკიძეებისა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმერეთის მეფემ, სოლომონ პირველმა (1751-1782) ისევ დაუბრუნა მათ მათი საგვარეულო ადგილები [5]). ეს მომხთარა 1772 წელს. ამაზე ცნობებს გვაძლევს ერთი ამ წელს დაწერილი წყალობის წიგნი, რომელიც მიუცია მეფე სოლომონ პირველს პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეთათვის [6]).

ამ წყალობის წიგნში მოთხრობილია, რომ, იმ დროს, როდესაც ოსმალნი გაძლიერებულან და აწუხებდენ აფხაზეთს და იმერეთს, ერთმა წულუკიძეთაგანმა იმძლავრა თავის ძმებზე, დაეპატრონა მათს მამულებს. ის დაუახლოვდა როსტომ ერისთავს. მარა დიდხანს არ გაგრძელებულა მათი მეგობრობა. როსტომს და მის შვილს გიორგის გაუდევნიათ ის რაჭიდან და თვითონ დაპატრონებიან მთელ საწულუკიძოს. როდესაც-სოლომონ მეფემ ერისთავი განდევნა, წაართვა ერისთაობა, მთელი საწულუკიძო გარდიქცა მეფის საკუთრებათ, ხოლო 1772 წ. მეფემ დაუბრუნა ზემოხსენებულ წულუკიძეებს. მაშასადამე, წულუკიძეების ექსორიობა რაჭიდან გაგრძელებულა არა უმეტეს ოცი წლისა, რადგანაც ზემო დასახელებულ საბუთებში ნათქვამია, რომ უცნობი წულუკიძის გაძლიერება და მისი კავშირი როსტომთან მომხდარა სოლომონ პირველის მეფობის დროსვე [1]).

ეს წყალობის წიგნი ღირსია ყურათღებისა. რადგანაც გვიჩვენებს წულუკიძეების მნიშვნელობას რაჭის ისტორიაში. მასში მოხსენებულნი პაატა, ბერი და გიორგის შამა-კაცია ძმა უნდა იყოს იმ მერაბ წულუკიძისა, რომელსაც მე XVII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი გავლენა ქონია მთელს რაჭა-იმერეთში. ვინ იყო ის წულუკიძე, რომელიც ყოფილა როსტომ ერისთავთან მეგობრულ განწყობილებაში და შემდეგ ამ უკანასკნელისგან განდევნილა რაჭიდან, არ არის ცნობილი.

დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთი პაატა წულუკიძე, წუწკათ წოდებული [2]). რომელსაც იმერეთის მეფე გიორგი მესამემ მე XVIII საუკუნის პირველ ნახევარში რაღაც დანაშოულობისთვის წაართ-

---

[1]). თ. ჟორდანია. ქრ. II 262. დ. ფურცელაძე ვირშელს შეცდომით კირილეს სახელით იხსენიებს (Груз. дворян. грамоты გვ. 36.

[2]). ბოჩკარევი. колхида. географ. очеркъ. გვ. 39.

[3]). ბუტკოვი. Матеріявы для новой исторіи кавказа ნაწ. II. გვ. 185.

[4]). ხოტევს წულუკიძეები დაპატრონებია ერთ არეულობის დროს. როდესაც იმერეთის მეფის მორჩილებიდან გამოვიდენ რაჭის ერისთავი და სხვა მძლავრი ფეოდალები. ქარ. ცხოვრება ამაზე ამნაირათ მოგვითხრობს: „პირველითვე მიეღოთ ესოდენთა ბოროტებათა შინა მთავართა კერძონი თვისნი აზნაურნი, დაბანი და ციხენი. ერისთავს რაჭა, გლონლა ჯაფარიძითურთ, იაშვილს- კვარა, წულუკიძეს ხოტევი, აბაშიძეს-სვერი,,(ქ. Ცხ. II, 221) აქ იგულისხმება არა პირულათ დიმკვიდრება წულუკიძეებისა რაჭაში, არამედ მათი გაძლიერება.

[5]) Орхеограф. Окты ტ. V, გვ. 91.

[6]) ქვემოთ გვექნება მოტანილი წულუკიძეთა გენეოლოგია, რომლისგან ჩანს, რომ პაატა, ბერი და გიორგი იყვენ ძენი კაციასი.

[1]). დ. ფურცელაძე. ,,груз. крестьянскія грамоты გვ. 47-49.

[2]) ქართლის ცხოვრების თქმით, პაატას ,,უხმობდენ წუწკათ უძლურებისთვის, რამეთუ იყო კუტი ,,II,197).

ვა მამულები. ის გაიქცა სამეგრელოში და მიენდო სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს. იქიდან ცდილობდა იგი ევნო და სამაგიეროც გადაეხადა გიორგი მეფისთვის. ლევან II და გიორგი მესამე ისედაც გადამტერებული იყვენ და პაატამ კიდე უფრო გაამწვავა მათ შორის მტრობა. აგულიანებდა ლევან დადიანს იმერეთის მეფის საწინააღმდეგოთ. ,,ამან, პაატამ, მოგვითხრობს ქართ. ცხოვრება, უმეტესათ შთაუდვა ლევანს მტრობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა [3]). ეს პაატა იყო უმთავრესი მიზეზი განუწყვეტელ ომებისა მათ შორის,—მიზეზი იმისა, რო ლევან დადიანი არ ცხრებოდა და ,,უხდებოდა მარადის იმერეთს შობას, ნათლის ღებას, აღდგომას და ყოველთა დღესასწაულთა შინა, რამეთუ ეტყოდა პაატა: ,,არს ძლევა მტერთა შენთა ზედა დღესასწაული შენი''. ამით დიდზიანს აყენებდა იმერეთს, რადგან იცოდა, რო ხალხი დღესასწაულ დღეებში შვება, განცხრომა და დროს გატარებაში იმყოფებოდა[1]). ეს პაატა წულუკიძე იხსენიება, როგორც მოწამე, ერთ ლევან დადიანისგან ქავთარაძისთვის მიცემულ წყალობის წიგნში[2]). შარდენიც იხსენიებს მას პატა წულუკიას სახელწოდებით[3]).

მას, როგორც სამშობლოდან გაძევებულს და მამულებს ჩამორთმეულს, არ შეეძლო შეეწირა ის მდიდარი მამულები, რომელიც შეუწირავს მონასტრისთვის მის აღმაშენებელს. რაჭაში-კი პაატა წულუკიძე, მგონი, არც-კი დაბრუნებულა, რადგან 1672—1673 წლებში, როდესაც ის ღრმა მოხუცებული იქნებოდა, მას ვხედავთ ისევ სამეგრელოში[4]).

ჩემის აზრით, ჭელიშის მონასტრის აღდგენა უნდა მიეწეროს ერთ-ერთ იმ პაატა წულუკიძეთაგანს, რომელნიც ცხოვრობდენ მე XVII საუკუნის განმავლობაში[5]).

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რო ხალხში დარჩენილი გადმოცემა ახლანდელ ჭელიშის ეკლესის აღმაშენებელათ ასახელებს აგრეთვე კაცია და გიორგი წულუკიძეებს. ამ უკანასკნელს, როგორც ეკლესიის აღმაშენებელს, იხსენიებს ჭელიშის წინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონიც[1]), რომელსაც არ შეგვიძლია დავწამოთ უცოდინარობა, რადგან თვითონ იყო გვარად წულუკიძე და, უეჭველია, მომსწრე იქნებოდა ამ გიორგისა, რომელიც ცნობილია, როგორც შეურიგებელი მტერი რუსების და მოწინააღმდეგე მათი მფლობელობის დამკვიდრებისა იმერეთში. ეს გარემოება, ჩემის აზრით, ნათლათ გვიჩვენებს, რო ჭელიშის ეკლესიის აშენება დაუწყია კაცია წულუკიძესა და დაუმთავრებიათ მის შვილებს – პაატას და გიორგის. მათვე შეუწირავთ მონასტრისთვის მამულები. მაშასადამე, პაატა წულუკიძე, რომელსაც ეკლესის ქონებათა აღწერილობაში აღნიშნული გადმოცემა მიაწერეს ჭელიშის ტაძრის აღშენებას, არის ძმა გიორგი წულუკიძისა და შვილი კაციასი. ეს უკანასკნელი-კი იყო შვილისშვილი იმ კაციასი, რომელიც, როგორც ზემოთაც

[3]), ქარ. Цხოვრება II, 197.

[1]) Ibid გვ. 199.

[2]) საქართველოს სიძველენი. საქართ. საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტ. II, 75.

[3]) Шарденъ. Путешествіе по Закавказію. Тиф. 1902 г. გვ. 72.

[4]) Ibidem.

[5]) ერთი მათგანი, შვილი ხოსიასი, იყო მამა იმერეთის ეპისკოპოზის ექვთიმესი, რომელიც მიიცვალა ქუთაისში 1856 წ. 62 წლისა. ეს პაატა შესანიშნავი მორწმუნე და ღვთის მოშიში კაცი იყო. მან ორი თვისი შვილთაგანი ბერათ შეაყენა. ექვთიმეს გარდა, ბერობა მიიღო მისმა ძმამ სიმონმა, რომელიც დიდ ხანს იყო ჭელიშის და მერე გელათის მონასტრის წინამძღვრათ და დასაფლავებულია გელათში. მის საფლავზე მარმარილოს ქვა, როგორც მოწმობს მაზე წარწერა, დაუდვია სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს („Странникъ“ 1861 წლის იანვრის წიგნი, გვ. 1—10). მეორე პაატა იყო შვილი კაციასი წულუკიძისა მესამე—შვილი მერაბისა, ხოლო მეოთხე-კი—შვილისშვილი ზემოხსენებული პაატასი, კაციას ძისა. ხოსია, კაცია და მერაბი იყვენ ძმები. მათი მამა გიორგი, ჩემის აზრით, უნდა იყოს ის გიორგი წულუკიძე, რომელიც მოიკლა ჩხარის ომში 1712 წელს (ქარ. Цხ. II, 222—224).

[1]) მოხსენება წინამძღვარ სიმონისა 8 ივლისიდან 1838 წლისა (იხ. იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის არხივი. საქმე 1838 წლისა).

მოვიხსენეთ, იყო ძმა მერაბი და ხოსიასი. ეს შტო წულუკიძეთა გვარეულობისა ჩხარის ომში მოკლულ გიორგიდან ამნაირათ მომდინარობს: გიორგი, კაცია, პაატა, [2]) ,კაცია და შვილნი მისნი: დავით, გიორგი და პაატა. ამ უკანასკვნელ ორს მამასთან ერთად გადმოცემა ასახელებს ჭელიშის უდაბნოს აღმადგენლათ.

ჭელიშის სამონასტრო ეკლესის აღშენებას და, საზოგადოთ, მონასტრის აღდგენას და მისთვის მამულების შეწირვას უნდა ქონდეს კავშირი გაძევებულ წულუკიძეების რაჭაში დაბრუნებასთან. როგორც ზევით მოვიხსენეთ, წულუკიძეები რაჭაში დააბრუნა და ხელ ახლათ მისცა მათ სამფლობელოთ მათი საგვარეულო მამულები მეფე სოლომონ პირველმა [3]). შესაძლებელია ეს მეფის წყალობა ყოფილიყოს. მიზეზი ჭელიშის აღდგენისა. ძველათ ყოველი ამნაირი მეფის წყალობა იწვევდა ღვთისადმი მადლობის გამოცხადების სურვილს, მის აღსანიშნავათ აშენებდენ მონასტერ-ტაძრებს და სწირავდენ მათ ადგილ მამულებს. წულუკიძეებიც, უეჭველია, ჩათვლიდენ თავიანთ თავს მოვალეთ ღვთისადმი მადლობის გამოსახატავათ აეშენებიათ ჭელიშის ეკლესია და შეეწირათ მდიდარი მამულები. მათი უხვი შეწირულების გამო, ჭელიშის უდაბნოს ეკუთნოდა თლად შარაულის ის ხეობა, რომელიც ცნობილი იყო „ჭელიშის გვერდის“ სახელით—შარაულას სათავიდან დაწყებული სოფელი ხონჭიორის საზღვარამდი 1).

ამნაირათ, ჭელიშის ძველი ტაძარი დაუნგრევიათ 1679 წელს, ახლანდელი-კი აუშენებიათ მე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იყო მდგომარეობა მონასტრისა ამ ხნის განმავლობაში, ამაზე ისტორიული ცნობები არა გვაქვს. მარა ამ ნაკლს რამდენათმე ავსებს ხალხში დარჩენილი გარდმოცემა, რომელიც გვეუბნება რომ ოსმალთაგან აოხრების შემდეგ, ჭელისში არ შეწყვეტილა ბერული მოღვაწეობა. მონასტრის ძმებს აუშენებიათ ხის ეკლესია და არ ჩაუქრიათ ის ლამპარი,-ქრისტეს ნათელი, რომელიც აქ ანთებული იყო ძველის ძველი დროიდან. ადგილი სადაც იყო აშენებული ეს ხის ეკლესია, ჩემს იქ ყოფნის დროს, აღნიშნული იყო შარაულას მეორე ნაპირზე ბის ჯვარით. მაშასადამე, აწინდელი ქვის ეკლესია მონასტრის დაფუძნებიდან უნდა იყოს მესამე, რომელიც მე XLIII საუკ. დასასრულს აუშენებიათ ძველი ტაძრის ნანგრევებზე.

მონასტრის შინაურ ცხოვრებაზე, მისი ქონებრივი მდგომარეობაზე ძველათ და ახლა და მისი ღირსშესანიშნავ მიდამოებზე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას შემდეგ. ახლა-კი შევუდგები მონასტრის იმ ქონება სიძველეთა აღწერას, რომელსაც აქვს ისტორიული მნიშვნელობა.

ამბერი.

---

2) ამ პაატას ასული უნდა იყოს ანა, კაცია დადიანის მეორე ცოლი (მასალები საქართველოს ისტორიისთვის, შეკრ. ბატონიშვილი დავითისა. ტფ. 1905 წ. გვ. 14)-პაატას ძმები ბერი და გიორგი.

3) სოლომონმა პირველი Ｏოლის (,,მარიამ ოტია დადიანის ასული) სიკვდილის შემდეგ, შეირთო Ｏოლათ გულქანი წულუკიძის ასული (Histare de Ia Georgie II 439 და 450 Jatroduction LXXIX და ბაქრაძე. Археовогич. путешествіе по гуріи и адчарѣ, გვ. 238), ვიდაＣ დაბალი გვარის კაＣის ნაＣოლარი. ამ ქორწინებამ უკმაყოფილება ჩამოაგდო სოლომონ პირველის და მისი შვილის ალექსანდრეს შორის, რადგან, როგორＣ იესე ოსეს შვილი მოგვითხრობს, უკანასკნელი ქვე მხედველ ექმნა დედის ნაＣვლის უგვარობისთვის'' (თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, გამ. ს. კაკაბაძისა, ტფ. 1918 წ. გვ. 112). მიზეზი ამნაირი უსწორო და მეფისთვის იმ დროის შეხედულობით შეუფერებელი ქორწინებისა იყო ის გარემოება, რო სოლომონ პირველს მეტათ უყვარდა ამ გულქანის ძმა, ბერი წულუკიძე, რომლისთვის, იმავე ოსეს შვილის თქმით, მეფე ,,ბრძანებდა, ბერი არის მეფე, მე არა ვარო და ამის დობისთვის, თუ შვენიერებისთვის შეირთო'' (Ibidem). ეს ნათესავური კავშირი სოლომონ მეფისა წულუკიძის გვარეულობასთან, ბერი წულუკიძისადმი სიყვარული და ურჩი როსტომ ერისთავის დამორჩილების სურვილი უნდა ყოფილიყო მიზეზი წულუკიძეების დაბრუნებისა და მათი გაძლიერებისა რაჭაში.

1). ეს და სხვა მდიდარი მამულები მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთავრობამ ჩამოართვა მონასტერს და სახაზინოთ ჩარიცხა. მონასტერს-კი დაუტოვა ,,ჭელიშის გვერდზე'' მხოლოთ 20 დესეტინა მიწა.

რედაკტორი ს. მჭედლიძე.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. ქუთაისი. სტამბა „ᲫᲛᲝᲑᲐ, ქარვას. ქ. სახლი ჩარექოვისა.

ეოჟელდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.- ქართული თეატრი. --რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.